



საკოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავ-
ნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან.
სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი
სამ შაურათ.

ხელის-მოწერა ძაღება: თბილისში „წერა-კითხვის
საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101)
და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის
აღრესი: Тифлисъ. Редакція „**ქვალი**“.

შიწნაარსი: ჩინეთი ნ. ჟორდანიასი. —სხვა-და-სხვა ამბები.—„ქვალი“-ს კორესპონდენციები.—ჩინეთის ამბები.—სა-
დახლო, ლექსი კნ. ნ. ორბელიანისა.—მსოფლიო გამოფენა პარუში ლ. დ—სა.—ქალაქი გორი ვანო გიუნაშვილისა.—ახალი
გზა ივ. გომართლისა.—ჭიათურა S—n-სა.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები.

† ჩვენ ლიტერატურას მოაკლდა
კიდევ ერთი ნიჭიერი მწერალი—პუბლი-
ცისტი. პარასკევს საღამოს 5 საათზე
ქ. სოხუმში, დიდი ხნის ავთამყოფობის
შემდეგ. გარდაიცვალა ცნობილი მწერა-
ლი ალაა ბახტაძე, რომელიც ილია ხო-
ნელის ფსევდონიმით თანამშრომლობდა
სხვა-და-სხვა დროს თითქმის ყველა ადგი-
ლობრივ რუსულ და ქართულ ჟურნალ-
გაზეთებში.

ჩ ი ნ ე თ ი




ჩინეთი და ევროპა. ჩინეთმა დიდ ხანს შეირჩინა
თავისი კარჩაკეტილობა, დიდ ხანს მოწყვეტილი
იყო ევროპისაგან და ევროპაც მოწყვეტილი იყო
მისგან. ხანდახან შემთხვევით თითო-ორგოლა ევ-
როპიელი, და ისიც უფრო იეზუიტები, თუ მიად-
წევდა ჩინეთამდის, თვარა წესიერი მისვლა-

მოსვლა არასოდეს არ ყოფილა. მხოლოდ ამ
საუკუნეში ევროპამ შედგა რა ფეხი ყველა
ქვეყნებში, მან არც ჩინეთი დატოვა უყურადღე-
ბოთ და მასთან ვაჭრობა გააჩალა. ამ ვაჭრობის და
მიმოსვლის დამწყები იყვენ ინგლისელები, სახელ-
დობრ ინგლის-ინდოეთის კომპანია. ამ კომპანიის
ხელში იყო ინდოეთი და აქედან მოიწადინეს ჩი-
ნეთზედაც გავლენის მოპოება, კომპანიის კავშირი
ჩინეთთან წყება 1720 წლიდან და ამ წლიდან ჩინე-
ლები აიძულეს ქალაქი კანტონი უცხოეთის ვაჭრო-
ბისათვის გაეღოთ. და მართლაც, კანტონი შეიქნა
ჩინეთისათვის ერთათ-ერთი ფანჯარა ევროპაში გა-
სახედავით. ინგლისელებს მიჰყვენ ფრანგები, პოლა-
ნდიელები და სხ. და ასე ჯერ კიდევ გასულ საუკუ-
ნის მეორე ნახევარში ჩინეთის სამხრეთი ნაწილი,
ევროპიელებმა ვაჭრობაში ჩაითრიეს. მაგრამ ევრო-
პიელთ მაინც ცუდათ ეპყრობოდენ, ყოველი ფე-
ხის ნაბიჯზე გზას უკრავდენ, თავისუფლებას არ
აძლევდენ და ავიწროებდენ. ამის წინააღმდეგ
1793 წ. და 1816 წ. ინგლისის ელჩებმა პროტე-
სტი განაცხადეს პეკინის მთავრობასთან, (სხვა სა-
ხელმწიფოებს მაშინ ელჩი არ ჰყოლიათ ჩინეთში)

მაგრამ ამჟამად 1834 წ. ინგლის-ინდოეთის კომპანია გაუქმდა და ამასთანავე გაუქმდა ამ კომპანიასა და ჩინეთს შორის დადებული სავაჭრო ხელ-შეკრულობა. ჩინეთის მთავრობა შეეცადა ვაჭრობა მოესპო და უცხოელები კანტონიდან გაეყვანა. უმთავრესი სავაჭრო საგანი იყო ოპიუმი. მაგ. 1835—1836 წ.წ. ინგლისელებმა 12 მილიონი მანეთის ოპიუმი შეიტანეს კანტონში. და აი იმპერატორმა ტაჯინგმა გადაწყვიტა ოპიუმის ვაჭრობა მოსპოს და 1839 წ. კანტონის გუბერნატორს უბრძანა, ყველა ის ოპიუმი, რომელიც ინგლისის გემებზე აწყვია, ჩამოღებულ და დამწვარ იქნას, რაც შესრულებულ იქნა. იმავე წელს ერთმა ინგლისელმა ჩინელი მოპკლა, მთავრობამ ინგლისელის დასჯა მოინდომა, მაგრამ ის თანამემამულეებმა გემზე გაიყვანეს და მთავრობას უარი შეუთვალეს, ვერ მოგცემთო. ამის გამო კანტონის ვაჭრებს ებრძანა, ინგლისელთ არ მიჰყიდოთ სურსათიო. ინგლისელები იძულებული შეიქნენ კანტონს გაცლოდნენ. ჩინეთის აღმირალი გამოუდგა ინგლისის ფლოტს დასაჭერათ, მაგრამ აღმირალი ძლეულ იქნა და მისი ფლოტიც დანგრეული. აი მაშინ კი ინგლისმა ოფიციალურათ ომი გამოუცხადა ჩინეთს (1840 წ.). ინგლისის აღმირალი შევიდა მდინარე ტიგრისში, დაიჭირა კუნძული ჩონ-ჩან და ჩინეთის იმპერატორს შიკრიკი გაუგზავნა, ვსურთ მშვიდობიანობა თუ ისევ ომი განვაგრძოვო. ხელმწიფემ მშვიდობიანობა ირჩია და 1841 წ. დაიწერა ახალი ხელ-შეკრულობა. ჩინეთის მთავრობამ ხელ-შეკრულობას ხელი აღარ მოაწერა, ინგლისის ფლოტი ისევ ჩინეთში შევიდა, კანტონი დაიჭირა, ჩინეთის ჯარი დაამარცხა, აიღო ბევრი ნავთ-სადგური და ქალაქები, ამათ შორის ქ. შანჰაი. მხოლოდ როცა ინგლისის ჯარი ნანკინს მიუახლოვდა, მაშინ კი ხელმწიფემ ზავი ითხოვა. ზავის პარობა იყო: გახსნა უცხოელ ვაჭრებისათვის, გარდა კანტონისა, კიდევ ხუთი ნავთსადგურისა ქ. შანჰაითურთ. მეორე, ნებართვა კონსულების დანიშვნისა ამ ნავთსადგურებში; მესამე, ჩინელებთან ერთათ თანასწორათ მოპყრობა და მეოთხე 40 მილიონი მან. ომის ხარჯის გადახდა. ყველა ეს პირობა შეასრულა ჩინეთმა. ამით წათამამებული სხვა სახელმწიფოებიც შეეცადნენ ამ ნაირივე სავაჭრო ხელ-შეკრულობა მოეპოვებიათ ჩინეთისაგან და კიდევაც მიაღწიეს მიზანს. 1844 წ. ამერიკამ შეჰკრა კავშირი ჩინეთთან და 1845 წ. საფრანგეთმა. საფრანგეთის პირობით ევროპიელთ ნება მიეცა ეკლესიები და სკოლები აეშენებიათ ჩინეთის ხუთ თავისუფალ ნავთსადგურში.

აი ამ დროდან იწყება ევროპის მულმივი მიახლოვება ჩინეთთან. 1850 წ. გარდაიცვალა ჩინეთის მეფე და ამ გარემოებამ სამოქმედოთ გამოიწვია საიდუმლო პარტია ტაი-პანგი, რომლის მიზანი იყო არსებული დინასტიის ტახტიდან გადადგება და სოციალისტურ-დემოკრატიული წყობის დამყარება. ატყდა რევოლიუცია; აჯანყებულებს შეუერთდა დიდ-ძალი ხალხი, შედგა ჯარები და დაიპყრეს მრავალი ქალაქები. როცა ქ. შანჰაისში შემოვიდნენ და ევროპიელი ვაჭრები იქიდან გარეკეს, მაშინ კი ინგლისმა და საფრანგეთმა ჩინეთის მთავრობას შემწეობა აღმოუჩინეს და 1862 წ. აჯანყებულნი გააძევეს შანჰაის არე-მარედან. ამასთანავე, მთავრობის ჯარების უფროსათ დაინიშნენ ინგლის-საფრანგეთის ოფიცრები და ასე რევოლიუცია ჩააქრეს. მეორე მხრით, რევოლიუციის დროს ჩინეთს ისევ ევროპასთან მოუხდა ომი. ომის მიზეზი გახდა კათოლიკეთა მისიონერების დახოცვა, ინგლისის საზღვაო საბუთების მოტაცება და 12 ინგლისელი მატროსის დაჭერა. როცა არცერთი ამის პასუხი არ მიიღო ინგლისმა, აღმირალი სემიური ფლოტით შევიდა ჩინეთის მდინარეებში, დაიჭირა კანტონი და სხვა (1854 წ.) ადგილები. ინგლისს მიემხრო საფრანგეთი, ამერიკა და რუსეთი. ერთი სიტყვით ევროპა და ჩინეთი დაიტაკენ. ნანკინის მთავარმართებელი დაატყვევეს, აიღეს ნავთსადგური ტაჟუ, იქიდან ავიდნენ მდინარით ტანძინამდის, აიღეს ქალაქი და თავისუფალ ნავთსადგურათ გამოაცხადეს. ახლა კი მიიღო ჩინეთმა ევროპიელთა ზავის პირობა, ომის ხარჯების გადახდა, რუსეთისთვის ფულის მაგიერ აშურის ქვეყნის მიცემა, პეკინში საელჩოების დაარსება და სხ. 1858 წ. ხელმწიფემ ხელი მოაწერა ამ პირობას, მაგრამ განხორციელების მაგიერ შემდეგ წელში ინგლის-საფრანგეთის ფლოტს სროლა აუტეხა. დაიწყო ხელახალი ომიანობა. ევროპიელებმა დაიპყრეს მთელი პეკინის პროვინცია და ბოლოს შევიდნენ პეკინშიაც. ჩინეთი დამორჩილდა და ახალი ზავის პირობა დაიწერა, რასაკვირველია ჩინეთისთვის უფრო მაგარი. 1860 წ. ევროპიელთა ჯარებმა პეკინი დაცალეს, 1861 წ. პეკინში ზარეკათ შევიდნენ ევროპის ელჩები და მულმივი საელჩოები გაიკეთეს. რუსეთმა გარდა ამურისა, უსურის მარჯვენე მდებარე ადგილებიც შეიძინა. სავაჭრო ხელ-შეკრულობები შეიკრა მერე სხვა სახელმწიფოებთანაც, მაგ. 1861 წ. პრუსიასთან, 1862 წ. ისპანიასთან, 1863 წ. დანიასთან, 1871 წ. გერმანიასთან და სხ. ყველა ამათ უფლება მიეცა პეკინში თავისი ელჩი იყოლიონ.



ამ ნაირათ, ევროპელები ძალით შევიდნენ ჩინეთის საზღვრებში და გამაგრდნენ. რასაკვირველია, ძალით მაცხოვნება ყოველად შეუძლებელია და ამიტომ ჩინეთის ხალხი ყოველთვის სიძულვილს იჩენდა ევროპელებს მიმართ. ეს სიძულვილი ხშირათ სისხლის ღვრითაც თავდებოდა, რაც ევროპის მთავრობათა ხშირ ჩარევას იწვევდა. ამ ჩარევას თან ჰყვებოდა ჩინელთა დამარცხება, დამარცხებას კიდევ ევროპელებს ახალი სასარგებლო პირობები. ევროპელები თანდათან გამრავლდნენ და გამძლავრდნენ ჩინეთში და ამ გარემოებამ დაბადა ახალი საიდუმლო საზოგადოებები ჩინელებისა, წინააღმდეგ „უცხო ეშმაკებისა“ (ევროპელებისა). ასე რომ 1891 წ. აქ-იქ ამოხეხა მოხდა, მისიონერთა სადგომები და ეკლესიები აიკლეს და მთავრობა იძულებული იყო ყველა ამავებისათვის ფულით ეზღო ევროპისათვის. ევროპის კულტურა უფრო და უფრო გავრცელდა, ბოლოს შედგა რეფორმის პარტიაც. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1895 წ. ჩინეთი ისე სამარცხვინოთ დაამარცხა პაწია იაპონიამ. ჩინეთის მოწინავე პირები დარწმუნდნენ, რომ ევროპასთან ბრძოლა მხოლოდ ევროპიულ საშუალებებით შეიძლება, რაიცა ნიშნავს ევროპის კულტურის მიღებას ანუ გაევროპიელებას. აი ამ პარტიამ მოიმხრო ახალ-გაზდა იმპერატორი კუანგ-სიუ და ის იყო დაიწყო ხანა რეფორმებისა. პეკინში დაარსდა უნივერსიტეტი ევროპის მეცნიერების შესასწავლათ, ჩინეთის ზოგი ტაძრები გადაკეთდა სკოლებათ, გაუქმდა უსარგებლო თანამდებობები, რაზედაც ტყუილ-უბრალოთ ბევრი ფული იხარჯებოდა. დავალა ყველას ქრისტიანთა კეთილათ მოპყრობა, მისიონერთ მიეცა სრული თავისუფლება ქადაგებისა—ერთი სიტყვით რეფორმის პარტია, რეფორმატორი მეფის წინამძღოლობით, შეუდგა ძველი ჩინეთის დარღვევას და ახლის დამყარებას. ასეთი რადიკალური რეფორმებით შესძლო იაპონიის მეფემ ახალ-გაზდა მიკადომ იაპონიის განახლება და ევროპის თანაგრძნობის დამსახურება და ეგვე მოისურვა კუანგ-სუმ. მაგრამ მაშინ, როდესაც მიკადომ თავისკენ მოიმხრო ჯარი, რომლის საშუალებით ყოველივე წინააღმდეგობის განადგურება შეიძლებოდა, კუანგ-სუმ კი ასეთი ძლიერი ძალა ვერ მონახა და მას ვერ დაემყარა. გამოჩნდა რომ ჩინეთის მხედრობა უფრო ძველის მომხრეა, ვინემ ახლის და მხოლოდ უცდიდა შემთხვევას ეს თავისი რწმენა გამოეაშკარებებოდა; გამოჩნდა რომ ყველა უმაღლესი მანდარინები, რომელნიც ხალხის ყვლეფით ცხოვრობდნენ, რეფორმის მოწინააღმდეგე იყვნენ ზ ხალხშიაგიტაციას ეწეოდნენ ევროპელებს წინააღმდეგ, და ამით თავის მეფის წინააღმდეგაც.

აი ასე შედგა პარტია რეფორმის მოწინააღმდეგეთა, რომელიც მხოლოდ მეთაურს ეძებდა თავის პლანების სისრულეში მოსაყვანათ. და აი ეს მეთაურიც პპოვა ქვირე დედოფალ ცუცისში. 22 სექტემბერს 1898 წ. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ჩაბარდა ქვირე დედოფალს. ხოლო რამდენისამე დღის შემდეგ „პეკინის გაზეთში“ ოფიციალურათ დაიბეჭდა: იმპერატორი „ავათ არისო“. ის იყო უნდა მომკვდარიყო, რომ ინგლისის ელჩს სასახლისთვის მუქარა არ შეეთვალა, ხელმწიფის სიკვიდილი ინგლისის სამარ ფეხზე დააყენებო და სსსიკვიდლოთ გამზადებული მეფე ისევ „მორჩა“. ელჩის საპასუხოთ „პეკინის გაზეთში“ დაიბეჭდა: ჩინეთის ბრძენთა წამლების შემწეობით მეფე უკეთ შეიქნაო! ამ ნაირათ მეფე სიკვიდლს გადარჩა, სამავიეროთ ის საქმეებს მოაშორეს და მის მიერ მოხდენილი რეფორმა უკან წაიღეს. პირველ ყოვლისა რეფორმის პარტიის ექვსი მეთაური დაიჭირეს და საჯაროთ დახვრიტეს. ყველა მამაცათ შეხვდა სიკვიდლს, ერთმა მთვანმა, ტან-ცუ-ტუხვამ სიკვიდლის წინეთდაიძახა: „თვითოველ აქ მოკვეთილ თავის ალაგას წამოღდება ათასი თავები, რომელნიც იბრძოლებენ თავისუფლებისათვისო“. ხოლო მთვარ რეფორმატმა კან-იუმეიმ მოასწრო გაქცევა და ახლაც უცხოეთშია. ამათ გარდა, ძალიან ბევრი დაატყვევეს, გადასახლეს, მოხელენი დაითხოვეს, ახალი ლიბერალური გაზეთები დახურეს—ერთი სიტყვით ყოველი მხრით რეაქცია გამეფდა. რაკი რეაქციამ ფეხი აიღდა, ის უეჭველია ბოლომდის უნდა მისულიყო და ეს ბოლოც ახლა არის. „დიდი მუშტის“ მოძრაობა—ეს მხოლოდ ამ ორი წლის წინეთ დაწყებული რეაქციის გაგრძელებაა, იმ განსხვავებით, რომ მაშინ მთავრობამ დაიწყო მოძრაობა, ხოლო ახლა კი ხალხმა. უეჭველია ეს რეაქციის უკანასკნელი სულის კვეთებაა, ეს უკანასკნელი ძაღლონის ამოძრავებაა და როცა ეს კრიზისი გადაიარს, რეფორმის პარტიაც ხელ-ახლა ფეხს გამოჰყოფს და ამდენი ამბებით გამოცდილი უფრო ხერხიანათ და მედგრათ შეუდგება თავის მოწოდების ასრულებას...

ბ. ყორდანი.

სხვა-და-სხვა ამბები

ღვლისის 10 რიყის ქუჩაზე ჩამოიქცა ტერკარაპეტოვის სახლის კედლები და ექვსი მუშა მოიტანა ქვეშ; ოთხი ძრიელ დაშავდა, ორი სუბუქათ. ეს პირველი შემთხვევა როდია თფილისში, რომ კედლების შენების თუ მიწის თხრის ღროს მუშა ცოცხალი

დამარხულიყოს, მაგრამ დღემდის არავითარი სა-
სტიკი ზომები არ არი მიღებული ამის წინააღმდეგ.

ქუთაისის სათავად-ახნაურო სკოლის ინჰექ-
ტორათ ბ. ა. ჭიჭინაძეს ასახელებენ.

24 ამ თვეს უნდა მოხდეს კრება ქიათურის
შავი ქვის მწარმოებელ ამხანაგობისა. ხმა დადის
ვითომ ამხანაგობას სურს მმართველათ ბ. ნ. ნიკო-
ლაძე მოიწვიოს.

რადგანაც ტრაპიზონის ვილაიეტში შავი ქი-
რი გაჩენილა და შესაძლებელია კავკასიაშიაც გა-
ჩნდეს, თფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა
პოლიციემისტერს, ქალაქის თავის მოადგილეს და
მაზრის უფროსებს, მეტი ყურადღება მიაქციონ
ავთამყოფებს და თუ საეჭვო რამ ნიშნები შეა-
მჩნიონ, დაუყონებლივ შეატყობინონ მას. განსა-
კუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე
ქალაქებისა და სოფლების სანიტარულ მდგომარ-
ეობას.

ამ მოკლე ხანში მიწათ-მოქმედებისა და სახელ-
მწიფო ქონებათა სამინისტრო შემოიღებს კავკასია-
ში ახალ წესებს სამადნო მალაროებში მუშაობისას.

11 ივლისს ქალაქის გამგეობა პირობით შეეკ-
რა ბ. რობის მამადავითზე ფუნქციულერის გაყვანის
შესახებ.

უმართებულესმა სენატმა ახსნა, რომ რკინის
გზაზე დაშავებულთა ზარალის გამოანგარიშების
დროს უნდა იქმნეს მხედველობაში მიღებული არა
მარტო ის ფული, რასაც დაშავებული დაშავებამ-
დე შოულობდა, არამედ ისიც, თუ მომავალში რა
მოელოდა ამ პირს.

სახლვარ გარეთიდან გამოწერილ სამეურნეო
მაშინებს, თუ ისინი ახალი გამოგონებულნი არიან,
ბაჟი არ გადახდებათ.

მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსებს,
რომელიც 26 ივნისიდან დაიწყო ამ წელს ძალიან
ცოტა მსმენელები ჰყავს.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წლიურ კრებაზე, წარსულ 4 თიბათვეს, ხსენებულ საზოგადო-
ების წევრებათ არჩეულ იქნენ: ვქელიშვილი კონსტანტინე
ივნეს ძე, ვახვახიშვილი სვიმონ რევაზის ძე, გავლოშვილი
დავით გიორგის ძე, ქურდიანი გრიგოლ ზაქარიას ძე, დავით
ბერი, ამირაჯიბი თ. კონსტანტინე მიხეილის ძე, დეკანოზი-
შვილი შაქრო ზაქარიას ძე, ბერძნიშვილი ყარამან ბიჭიას ძე,
ტუშკია გერონტი ყარამანის ძე, მაკუტაძე თ. დიმიტრი, წე-
რეთელი მღ. სვიმონ ნიკოლოზის ძე, ლალიძე მცტროფანე ერმა-

ლოს ძე, წინამძღვრიშვილი ნოდარ (იგივე ლევან) ერმალოზის
ძე, მერკვილაძე იოსებ ნიკოლოზის ძე, ყაზბეგი ივანე ნიკო-
ლოზის ძე, კილაძე ივანე, წულუკიძე გრიგოლ მიხეილის ძე,
ფურცელაძე ისაია იულის ძე, ქოქაშვილი გიორგი მაქსიმეს ძე,
გომელაური ივანე მიხეილის ძე, მამულაიშვილი არსენ ანტონ-
ნის ძე, ლაბაური ზაქარია პეტრეს ძე, ხარკიშვილი დავით,
ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე, ჭიჭინაძე ნიკოლოზ
გაბრიელის ძე, ჩაჩავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, ყაისიშვილი
ივანე დავითის ძე, გოგუა კალისტრატე გიგოს ძე, გოგლიძე
მიხეილ გიორგის ძე, პაიჭაძე სამსონ ივანეს ძე, მიქატაძე ლე-
ვარსი თევდორეს ძე, ყაისაშვილი მიხეილ დავითის ძე, კობა-
ლეიშვილი ილიკო ივანეს ძე, ბოჭორიშვილი მიხეილ ზაქა-
რიას ძე, ოქუაშვილი არაქელ გრიგოლის ძე, ჩოდრიშვილი
ზაქარია იოსების ძე, კალატოზიშვილი დავით ივანეს ძე,
იაშვილი ვლადიმერ იოსების ძე, მალსაგოვი გიორგი პეტრეს
ძე, სტურუა ივანე თევდორეს ძე, არშინაშვილი იოსებ ზაქა-
რიას ძე, ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე, მაჭავარიანი სო-
სო, ყაზახიშვილი შაქრო ლუარსაბის ძე, ერიქოვი ნიკო
სტეფანეს ძე, ვნუქიძე აბელ სოფრონის ძე, ბაქრაძე დიმიტრი
ივანეს ძე, კალანდარაშვილი დიმიტრი ექვთიმეს ძე, ჯუღელი
სვიმონ სპირიდონის ძე, შილაკაძე გრიგოლ ილარიონის ძე,
თოფურა ნიკო. დარახველიძე იოსებ ნიკოლოზის ძე, მიქაძე
რაქდენ, ნანუა გიორგი ანტონის ძე, რაჭველიშვილი ფილიპე
გიორგის ძე, ციზაძე ნიკო კონსტანტინეს ძე, ჩხეიძე გიორგი
ივანეს ძე, ჩხარტიშვილისა სოფიო მიხეილის ასული, თავდგი-
რიძე თ. ნიკოლოზ ყარამანის ძე, კლიშიაშვილი მიხეილ იო-
სების ძე.

რედაქციამ მიიღო 1) წერა-კითხვის გამავ. საზ.
გამოცემა შემდეგი ქართული სასიმღერო ნოტები,
ბ-ნ ფ. ქორიძის გადაღებული: შავი შაში ქართველ
მონადირეთა სიმღერა გურულ კილოზე, ნუ მღერი
ტურფავ! ქართული რომანსი, მოგანება ქართული
ხალხური სიმღერა გურულ კილოზე, ინდი მინდი
ფერად შინდი, იგივე ხალხური სიმღერა გურულ კილოზე,
ვაჭ, დრანი დრანი ქართული სიმღერა ქართულ კილო
ზე, ბროლის ეკლი დუეტი, ქართულ ხალხური სიმღერა
იმერულ კილოზე, ქართული სიმფონია, მეგრულ
კილოზე. ყველა შევნიერათ სუფთათ არის გამო-
ცემული და არც ძვირათა ღირს.

2) ქსანი გრ. ჩახრუხაძისა მესამე გამო-
ცემა ზ. ჭიჭინაძისა. ეს წიგნი პირვე-
ლათ პ. იოსელიანმა დაბეჭდა 1838 წ. მეორეთ
ზ. ჭიჭინაძემ 1883 წ. და ახლაც ისევ ზ. ჭიჭინა-
ძემ, უფრო შევსებით. წიგნი შეიცავს 48 გვერდს
და ღირს 20 კაპ.

„კვალის“ კორესპონდენციები

სად. განჯა. დიდი ხანია მას შემდეგ რაც ამ სადგურე-
ლებს სამკითხველო მოქსპთა; მიზეზი ამ სამწუხარო
შემთხვევისა, როგორც კადმოგვეცემენ, უნდა იყოს ის
რომ ბ-ნი გლადკოვი სხვაგან გადაიფანჯეს. მას შემდეგ,

ბევრმა მობინდომმა მისი მაგიერობა გაეწია, მაგრამ საუბედურდრთ ფული ვერ მოაგროვეს და სამკითხველსაც ბოლო მოეღო. დღეს განჯის სადგურში მოსამსახურეთა რიცხვი თითქმის ორჯელ მეტია ვინემ წინა წლებში იყო, მარა სიმრავლემ სიგლახის მეტი არა მოიტანა-რა. სამსახურიდან დაბრუნებული მოსამსახურე თავისუფალ დროს შედის „ტრანსტირში“, ირთობს თავს ბილიარდის, ნარდის, ლოტოს კარტის თამაშში, და უკვლედას ან ერთი წააკებს ან მეორე; წაკებული ვინც არის ეს ჯგურისაგან მოითხოვს ღვინოს და შეიქნება ერთი დიდი ქეიფი და სხანამ თავისი არ მოუვათ ვერაფერი გზით იქიდან ვერ მოაშორებთ. წინა წლებში კი სადგურელები ესწრებოდნენ წარმოდგენებს და შემდეგ სამკითხველში ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდნენ, წიგნები სახლშიაღ მიჰქონდათ და თავისუფალ დროს ამას ანდამებდნენ. დღეს კი, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ ისე არიან. ერთი გულშემატკივარი და მოთავე დმერთმა არაჲინ მოგვიფილანა, რომ ითავას და ამ სსარკებელ და გზებინს განმავითარებელი საქმისთვის ფული მოაგროვას, ან რკინის გზის თვით მმართველობას სამკითხველსთვის სახლი თხოვას. წერა-კითხვის უცოდინარ რკინის გზის მოსამსახურეს ამჟიათათ შეხვდებით და სირცხვილი არ არის რომ ამოდენა მოსამსახურებმა ერთი სამკითხველ ვერ დაიარსონ? თუ დარბი სფულეებში, სადაც შაური მანეთათ უღირთ, აქვთ სამკითხველ, აქ რა დავგუმართა. ადრინდელი სამკითხველს წიგნები დღეს „ზაჲარნი დეზომი“ აწევია და, თუ ვინმე შრომას მიიღებს და სახლს თხოვს რკინის გზის თვით მმართველობას, მერე ამ წიგნების გადმოტანა და მოწეობა ძნელი არ იქნება. აქ ჟურნალი გაზეთები ბევრს მოუდის და თითო ნაირ გაზეთს უკვლედას ყველა გადასცემს სამკითხველს; დანახებებს მოგროვილი ფულით შევიძენთ და ძველიც რაც შენახულია, რომ მოვაგროვოთ მტონი რომ საკმარისია;

სად. განჯა.

ვას. ვადილია.

საფ. ხარაგაული. (შორაზნის მარა) დიდი ხანი არ არის, რაც ხარაგაული მიხვდა, რომ „სწავლა სინათლეა“ და უსწავლელობა კი სიბნელე. აქ 1894 წ. ზირველ დაწვებითი სამინისტრო სკოლა მასწ. ტ. თაბუკაშვილის მეცადინობით გადაკეთებულ იქნა ორ კლასიანათ; რომელშიაც კლესთა და აზნაურთა შეილები ერთათ სწავლობდნენ. უკანასკნელ დროს მთავრობამ დაავალა საზოგადოებას სასწავლებლისთვის ახალი შენობის აკება. კლესები შეუდგენ ამ საქმეს, მაგრამ აზნაურები აღარ შეიამხნავეს, რის გამოც უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ ეთხოვათ სასულიერო მთავრობისთვის კერძო სკოლის დაარსების ნების დართობა. მთავრობამ უეურადღებოთ არ დატოვა აზნაურთა თხოვნა და ნება დართო.

აი ასე დაარსდა ხარაგაულში საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელმაც დიდი წვლება გამოიარა საზოგადოების მატერიალურათ დაქვეითების გამო.

დაინახა რა ამისთანა გაჭირვება მღვ. რომინოზ დეკანოზიკემ განიზრახა მიეშენებინა თავის სახლისათვის სამსართულაანი ქვეითიერის შენობა იმ გეგმით, რომ ქვედა ორ სართულში მოთავსებულიყო ორკლასიანი სასწავლებელი და შესამეში კი ეკლესია სკოლისათვის.

კარგა ხანია, რაც მამა რომინოზი შეუდგა ამ პროექტის ასრულებასში მოყვანას და კიდევ გააკეთა ორი სართული; შესამევე ჩქარა იქნება, ასე რომ, ამ წლის ზირველ ენკებისთვეში სწავლა დაიწება ახალ შენობაში. ამ შენობის გაკეთება მამა რომინოზს უჯდება 6000 მანეთათ, გარდა იმ ერთი ქტევა მიწისა, რომელიც მან დაუთმო სკოლას ეზოთ და საბაღეთ. შემდეგში-კი აზრათ აქვს თავისი სახლი, ეზოცა და მამულიც ამავე სკოლას შეწიროს. სწორეთ დიდი საქმე იკისრა მამა რომინოზმა და მით აიგო საუკუნო ძეგლი!..

ვისურვებ, რომ ხარაგაულის საზოგადოების ზოგამა ზირებმა, რომლებიც მამა რომინოზს მატერიალურ მდგომარეობით უკან არაფრით ჩამორჩებიან, წაბადონ ზემოხსენებულ მღვდელს და დაარსონ ის, რაც უფრო ესაჭიროება ხარაგაულს, სახელდობრ ქალების სასწავლებელი.

ზაკო.

ველეზნოვოდსკი. 22 ივნისს აქ ამოვარდა ძლიერი ქარი, ისე რომ ქუჩაში ფეხზე ვერ დადგებოდა კაცი, სახლებშიაღ კი შიშის ზარმა მოიგვა ხალხი. ქარს თან მოჰყვა წვილილი სეტყვა და კვიის-ზირული წვიმა. აქაური მოვაჭრეები გულ ხელ დაკრეული სხედან და გაიძახიან: „წასვლა და აღარ მოსვლა წრევანდელი „კურსისა““, ამ სიტყვასავე იმეორებს აქ სამუშაოთ მოსული მოსამსახურეც. დიან, წელს, როგორც ჩანს, შედარებით შარშანდელთან ძლიერ ცოტა ხალხი ეზირება აქაურ სამკურნალო წლებზე. ამას ორი გარემოება უშლის ხელს, ერთი რომ მუდმივი წვიმება და მეორეც ზარბიის მსოფლიო გამოფენა. როგორც ეფიქსთვის წელსაც ბევრი მოსამსახურეები ჩამოსულან აქ სამუშაოთ, ქართველები რიცხვით სამასამდე არიან, მაგრამ ზოგი მათგანი ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია; შემოკლებიათ სახარჯო, უკან წასასვლელი ფული ხომ სულ არა აქვსთ და ამის გამო ხან ვის ეხვეწებიან და ხან ვის, რომ რაიმე საქმე მისცენ სიცოცხლეებს. უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური სასტუმრო სასადილოები და რკინის გზის „ბუფეტები“ სულ ქართველ მოვაჭრეებს უჭირავთ და ზოგი მათგანი შესამხნევათაც დაწინაურებულა ნივთიერათ. მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგიერთებს უნდა შეგინიშნონ რომ, რაღაც თავის გამოსაჩენათ სულ უცხად მხრი-

დან დაუბარებიათ მოსამსახურეები. (ამ ხანათ „კურსალში“ ორმოცი მოსამსახურეა, მათ შორის კი მხოლოდ ერთი ქართველი). ნაცვლათ იმისა რომ თავის მოძმეებს შეშწიკობა აღმოუჩინონ და სამუშაო მისცენ, შემდეგ გულ საკლავ ზასუნს ეუბნებიან: „კრუ-ზინ ნე ზრინიშკამ!“. „სასაცილოა ჭეშმარიტათ, რომ სამწუხარო არ იყოს მათი მოქმედება. სავეირველია დმერთმანი, როდესაც ქართველი ამგვარ ზასუნს იძლევა! ვერ გამოგია რისთვის წუნობენ ჩვენებურებს, ნუ თუ სამსახური არ იციან? არა ამას ჩადას მხოლოდ თავის გამოსახენათ და ზოგიერთების საამებლათ... ქართულ-საც აღარა კადრულობენ, რაც გადაგვარებასა ნიშ-ნავს, მაგრამ, ნუ დაივიწყებენ ეს ვაჟ-ბატონები, უკვდავი მგონის სიტყვებს:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

ვ. კ--ძე

ჩინეთის ამბები

ჩინეთში ისევ ისე გამწვავებული ბრძოლაა. „დიდი მუშტი“ არა თუ არ ცხრება, ზეკინსა და ტიანძინს არ ჯერდება, ზირაქით რუსების მოსაზღვრე ქალაქებზედაც კი იერიში მიიტანა. ივლისის ზირველ რიცხვებში, მაგალითათ, ჩინელებმა ქ. ბლაგოვეშჩენსკის დაუშინეს ეუმბარები და მრავალი შენობები მიწასთან გასწორეს. ევროპელები თავის მხრით არა ნაკლებ გაბრაზებულნი არიან და ყოველ დონის ძიებას ხმარობენ სამაგალითოდ დასაჯონ მუამბოხენი: „მე მანამდის ვერ მოვიწვევებ, თქვა ერთ თავის სიტყვაში გერმანიის მეფემ ვილჰელმ მეორემ, სანამ ჩვენი სხვა მოკავშირე ერის დროშები ზეკინის კედლებზე არ აფრიალდება, რომ შეძლება მოგვეცეს იქიდან ვუკარანხროთ ჩინელთა ზავის ზირობები.“

ამაირათ, თუმცა ევროპის პოლიტიკამ გადაწვეიტა ოფიციალურათ ომი არ გამოუცხადოს ჩინეთს, მაგრამ უამისოთაც ბევრი სისხლი იღვრება ორივე მხარეს. უმთავრეს საზრუნველს საერთო შორისა ჯარისსა დღეს დღეობით ჩინეთის დედა-ქალაქ ზეკინის დაზურება შეადგენს. თუმცა ზეკინის აღებით შეიძლება ომი არ დასრულდეს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ეს შემთხვევა გავლენას იქონიებს ჩინელებზე და იძულებულ ჭეოფს მათ დაჩქარონ ზავის ჩამოგდება.

თუ დიპლომატიური ხრიკი არა არის რა, ჩინეთის მთავრობა უკვე შეუდგა მეტადინეობას ზავის ჩამოგდებას შესახებ. ღიხუჩანგმა მაკ-კინლეის მიმართა თხოვნით,

შუამდგომლობა გამოწიე ევროპისთან ომის შეწყვეტის და ზავის ჩამოგდებას შესახებ.

აი უკანასკნელი ცნობები:

6 ივლისს გამოგზავნილი დეპეშით ზეტერ-ბურგში მთავარ-შტაბს ატეობიებენ, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა დაზარალებულია და დაზარალებულია დაზარალებული. ჩინეთის დიდძალი ჯარი თავს იყრის ჯერ კიდევ დაზარალებულ გზის ხელ. — მანჭია. ღიხუჩანგმა გამოაცხადა, რომ უცხოელთა ელჩები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, მაგრამ თუ ევროპელებმა ჯარები დაიძრენ ზეკინისაკენ, მაშინვე ევკლას უცხოელთა ამოყვებენ ზეკინში. კარდა ამისა მან თქვა, რომ მას ადვილათ შეუძლია 20 ათასი ევროპელი ჯარის კაცით მშვიდობიანობა ადადგინოს ჩინეთში. — ვაშინგტონი. ჩინეთის თხოვნაზე შუამდგომლობის შესახებ მაკ-კინლეიმ უზასუნს ჩინეთის ელჩს, რომ ის მზათ არის იკისრის შუამდგომლობა, თუ ზოგიერთი ზირება დაცული იქნება. ვაშინგტონიდან იტეობიებიან, რომ შეერთებული ჯარები 17 ივლისს ზეკინისაკენ წავლენ. სამხედრო გემის „ბრუკლინის“ უფროსი აუწყებს საზღვაო სამინისტროს ჩიფუდან, რომ 9 ივლისს ტიანძინში კონსულის წერილი მოვიდა, 21 ივლისს მოწერილი, რომლითაც აცნობებს, რომ საშიშ მდგომარეობაშია და საჭიროა საჩქაროთ მიშველება. კონსული წინათვე აფრთხილებს, რომ გამათავისუფლებელ ჯარს ზეკინში საშინელ წინააღმდეგობას გაუწევინო.

ღონდონი. მოლაზარაკების უმთავრეს მუხლების შესახებ ღიხუჩანგმა განაცხადა მანჭიაში, რომ ჩინეთი ფულათ სრულიად ვერაფერს გადიხდის და ხალხიც ნებას არ მისცემს მთავრობას ამას იქით უცხო სახელმწიფოებ-რამიე ადვილი დაეთმოთ ჩინეთში. სახელმწიფოებმა მხოლოთ ის უნდა იკმარონ, რომ მთავრობა ადმინისტრაციულ ცვლილებებს მოახდენს და უწესობაში ზასუნის მტებელ მხელებს სამსახურიდან გადააყენებს.

ს ა დ ა ხ ლ ო

(ვუძღვნი მ. მელიქოვს)



იმ შენიერო, გაზაფხულად, შენი ამ დილით. რა გამოგებინებდი დადალული მაშვრალი ძილით, გული, გონება ადვისილი მქონდა სხვა-და-სხვა ჭირით და შენმა ჭვრეტამ გამაცოცხლა ადმავსო ღხინით.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო უწყისი

როს გადავხედე ვრცელს ჭაღებს
 აბიბინებულს,
 სიღრმეზე ვიგდებ და მოშორდა
 სეგდა ამ ჩემ გულს;
 ნელი ნიაფი არხვეს ტოტებს
 ახლათ ნორჩ ჩარგულს,
 მზე სხივებსა ჭფენს, ცვარინამავს
 ვარდს აკოკრებულს.
 განთიადია, შორით ისმის—
 ბუღბუღის სტეგნა,
 ხან ჭებენს, ხან გაღობს, ხან დამაშვრალს
 ებმება ენა,
 ხან დაღაღული ვარდის ბუჩქთან
 განაბულია,
 ვარდის ეკლისგან შეუბრალთ
 დაკაწრულია.
 მაგრამ მიჯნური სტრფოცს ახლო
 მხიარულია.
 ფრინველია იწიქს ურამული
 საზრდასთვის ფრენა,
 შორით მოისმის მალაღურის
 და შაშვის სტეგნა.
 გამოჩნდა კვამლიც და მოქშინავს
 აწ ორთქლ-მავალი,
 აქა-იქ ჩანან ფეხზე მდგომი,
 ხალხი მჩაგალი.
 მიხუმდა ვეკლა და მოისმის
 დუღუნი წულის,
 გაქანებული რბის მდინარე
 დებდა — ჩაის,
 თითქოს ესეცა ტრფიალია
 ამ განთიადის
 და უხარის მოშორება ბნელი
 წყვდიადის:
 ხან აღტაცებით მორბის ქვებზე,
 ხტის და კრიაღებს,
 ხან დამშვიდდება და ამ ჭაღებს
 გარს უტრიაღებს.
 მზემ ოქროს ფერათ ცა შედება
 აღმოსავლეთით,
 გაფხიზლდა ხალხი და მუშაკთაც
 ახსენეს დმერთი;
 შრომის შეუდგენ,
 საქონელსა ერეკებიან,

გუთნულს მართვენ, ურმებს აბმენ,
 ერთათ კრებებიან.
 დავტები და ვიგდებ მეც სიღრმეზე
 ამ ტურფა დილით:
 ვეკლას ვლაცავდი თავი ვიცან
 აქ ბედნიერთ,
 როს ვუყურებდი დიდს და მცირეს
 მშრომელთ ძლიერთ:

კნ. ნინო ორბელიანისა.

მსოფლიო გამოფენა პარიჟში.

(ერთი თვალის-გადავლებით).

(დასასრული) *)

რუსეთის პავილიონს უკან იმყოფება¹⁾ ჩინეთის ხუთი პავილიონი. ყველა ესენი ხის შენობაა. დახურულია კრამიტებით. კედლები მწვანე და ყვითელი წამლებით არის შეღებილი. უმთავრესი პავილიონი — მაღალ ტერასაზე მდგომი — ორ-სართულიანი, წითლათ შეღებილი ხის მოაჯირებიანი შენობა წარმოადგენს ჩინეთის ერთ უძველეს ტაძარს და რამოდენათმე საიმპერატორო სასახლეს; იმ განსხვავებით, რომ არიგინალი თეთრი მარმარილოსაგან არის აშენებული, ასლი კი ხისაა. პავილიონებში საბატო ადგილი უჭირავს შავი ხისაგან ნაკეთებ ავეჯეულობას (სკამები, სტოლები, ტაბურეტები, კრესლები, შირმები). ყველა ჩუქურთმით არის დაჭრელებული და მორთულია სპილოს ძვლის წვრილი ნაჭრებით. ამავე სტილით და მასალით გაკეთებულია რამდენიმე საწოლი. თითოეული მათგანი წარმოადგენს პაწია ოთახს, ანუ უკეთ ბალდახინს. დარბაზის ერთ კუთხეში კუბოში გამოთილია „უნგარო“ ჩინელი, რომელსაც გულზე აწყვია სამი ყუთი ვერცხლის ფული საიქიოს წასაღებათ. შემდეგ გამოფენილია მეურნეობა — მრეწველობის სხვა-და-სხვა ნიმუშები: განსაკუთრებით კი ჩაი, აბრეშუმეულობა, თამბაქო, ფარფორისა და თიხის „ჩინური“ ჭურჭელი. არის აგრეთვე საზოგადოების სხვა-და-სხვა წრის ტიპები (სანთლისაგან): კეთილშობილნი, მანდარინები (სამოქალაქო თუ სამხედრო უმაღლესი ხარისხის მოხელენი), გლეხები, სალდათები, ბორკილიანი ტუსალები. ყველანი გძელი ნაწნავებით, გძელი ფრჩხილებით და გძელსა და ფართო ტანისამოსში გამოხვეულნი. მხოლოდ, დაბალი წრის ტიპები,


*) იხ. „კვალი“ № 27.

1) ჩინეთის პავილიონი „კვალის“ № 26 გვერდ. 413.

რასაკვირველია, დაბალ, ძონძის მოგვარ მატერიის სამოსელში არიან. მაღალი წრის ტიპებს კი, განსაკუთრებით აღუშფოთებელ და სრული კმაყოფილების გამომეტყველ მანდარინებს—ძვირფასი ფარჩა—აბრეშუმეული აცვიან. მაღალი წრის ტიპებს ხელ-ფეხიც უფრო პატარა აქვს, პირის კანი უფრო ნაზი, მოთეთრ-მოყვითალო, გძელი ფრჩხილებიც სუფთათ დაფხეკილი. ზოგ ქალს ისე დაუპატარავებია ფეხი, რომ თათი სულ დაჰკარგვია, დარჩენია თითქმის მარტო ქუსლი და ფეხი დამსგავსებია ტაბაკს. (ჩინელებს გაგიჟებით უყვართ ქალის პაწაწა ფეხი, რისთვისაც ქალს პატარაობიდანვე არტახებით უკრავენ ფეხს). პატარა ფიგურებით წარმოდგენილია აგრეთვე რამდენიმე სცენა ჩინელთა ცხოვრებიდან. სხვათა შორის, ცოცხლათ არის ნაჩვენები დამნაშავეს „გაროზგვა“.

ჩინეთის პავილიონ-ნებთან ვხედავთ ტრანსვალის რესპუბლიკას. ტრანსვალის ოფიციალური პავილიონი ²⁾ მოხდენილი, ევროპიული შენობაა. გამოფენილია უმთავრესათ სამეურნეო ნაწარმოებნი (ხორბალი, ქერი, ფეტვი შვრია, სიმინდი, ზეთი, ღვინო, თამბაქო) და პირვანდელი სამეურნეო იარაღები. აგრეთვე კაფერების ნაკეთები ხის და თიხის ქურქელი, დაწნული ნექები, კალათები; იარაღი: შუბები, შვილდ-ისრები და სხ. დარბაზში ყვავილებსა და მცენარეებ შორის დგას თვით კრიუგერის ბიუსტი ³⁾.

ოფიციალურ პავილიონს ახლო იმყოფება „ბურების ფერმა“. ეს გძელი, ერთ სართულიანი სახლია, ჩალით დახურული, შედგება ხუთი ოთახისაგან: სასტუმრო, ივივე სასადილო, საწოლი



სამთო საწარმოებელი პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

²⁾ ტრანსვალის პავილიონი „კვალის“ № 28 გვ. 445.
³⁾ კედლებზე ჰკილია სტატისტიკური ტაბლიცები სწავლ-განათლების შესახებ. აქედან ვხედავთ სხვათა შორის, რომ ტრანსვალში მოსწავლეთა რიცხვი ყოფილა: 1882 წ. 9 ასი; 90 წ. 7 ათასი; 98 წ. 14 ათასი. მთაწობას დაუხარჯავს 95 წ. 60 ათასი ფრ. 98 წ. 230 ათასი ფრ.

ოთახები, სამზარეული და საკუქნაო. ყველა ოთახებში მიწური იატაკია. ფანჯრებზე დგას ყვავილები, კედლებზე თოფები, პატარა სურათები, ზოგი მათგანი გაკეთებულია ფრინველების ფერადი ბუმბულებისაგან. კედლებზევე, საჩენ ადგილას ჰკილია ტანისამოსი: შლიაპა, პიჯაკი, შალვარი. საწოლ ოთახებში დგას ერთი ან ორი კრაოტი, ბეწვიან ტყავ გადაფარებული. კუთხეში აყუდია უღლები. ცოტა უკეთ არის მოწყობილი სასტუმრო. დგას რამდენიმე ხის უბრალო სკამი, სკამეიკა, მდივანი, (სკამისა და მდივნის საჯდომი კოპიით არის გახლართული). გძელ, სუფრა გადაფარებულ ხის სტოლზე ძვეს დაბადება; შავი პური, დანა-ჩანგალი; კედელზე სხვათა შორის საათი; კუთხეში ფისგარმონი, სამზარეულოში სხვათა შორის პურის საცხობი ფურნა: საკუქნაოში — ნახშირი, უნაგირები,

შესაბმელი ცხენის მოსართავები, უღლები. ურმის თვლები, ტომრები, ტყავები. გამოვალთ თუ არა „ფერმიდან“ გვესმის საშინელი, დამაყრუებელი რახ-რახ-გრიალი, ეს ტრანსვალის ოქროს მადნის საწარმოებელი ქარხანა გრიალებს. ეს ქარხანა ერთგვარი წისკილია, რომელსაც ხორბლის ნაცვლათ აყრიან ოქროს მადანს და ისიც ფქვილის მაგერ ან-

თხვეს ძვირფას ტალახს, ტალახი ქიმიკოსის დახმარებით ეგზავნება სხვა და სხვა მაშინებს და ბოლოს გამოდის ის ლითონი, რომლისთვისაც ასე გამწარებით იბრძვიან როგორც განათლებულნი, ისე გაუნათლებელნი და არამც თუ იბრძვიან, არამედ ზოგჯერ კიდევ ქლევტენ ერთმანეთს, ასობით და ათასობით სპობენ ადამიანის სიცოცხლეს. ქარხანას წინ დგას პირამიდალური, ყვითელი, ოქროს მსგავსი სვეტი. (სიმაღლით 14 1/2 მეტრი, მისი სიგანე 2 1/2 მეტრია, სიმიძით უნდა იყოს 621,786 1/2 კილომეტრი. სვეტი წარმოადგენს „გარსს“ (სიდიდეს) წმინდა ოქროსას, რომელიც დაუმზადებიათ სამხრეთ-აფრიკაში 1884—1899 წ.წ. ამ ოქროს ღირებულებაა 2141 მილიონი და 709,418 ფრანკი. სვეტზე დახატულია

ლოგრამა ოქროს წარმოებისა 1884 წ-დან 1899 წ-დღე. სხვათა შორის 1887 წ. ამოულიათ 4 მილ., 98 წ. 410 მილ., 99 წ-ს 9 თვეში 368 მილიონი. თვით ქარხნის კედლებზე მრავალი ტაბლიცებია ოქროს წარმოების შესახებ სხვა და სხვა ქვეყნებში. სხვათა შორის 98 წ. ყველაზე მეტი ოქრო უწარმოებიათ აფრიკის რესპუბლიკათა შემდეგ ამერიკას, სახელდობრ 334 მილ., საერთოთ ყველა ქვეყნებს 1,480 1/2 მილიონ ფრანკის ღირებულება. ქარხნის გვერდით ცალკე პავილიონშია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკათა რელიეფიური ქარტები და სურათები. უმათავრესათ წარმოდგენილია ვიტკოტერსრანდის მანდები.

ქარხნიდან ცოტა მოშორებით, ერთ კარებს ჩავყვართ ქვესკნელში. საკმაოთ გრძელი და მიხვევ- მოხვეული გვირაბი წარმოდგენს ტრანსვაალის

ბული და დაკარწახებული მუშა წერაქვს უდერებს კლდეს. მკლავის ძარღვები ძალზე დაქიმიან, სახეზედაც დაღალულობის დაღრეჯილობა ეტყობა. მეორეგან ორი მუშა მაშინას უმიზნებს კლდეს გასახვრეტათ; სხვაგან დინამიტს დებენ კლდეში გადმოსანგრევათ. იქვე გდია მიწაზე თავ-გატეხილი მუშა, რომელსაც კლდე დასცემია ზედ და გაუწყვეტინებია მუშაობა. ყველა მომუშავენი თავის საქმეს, კლდის განსაზღვრულ წერტილს მიჩერებთან მთელი თავისი ყურადღებით, თითქოს ისინი ამ ქვესკნელში დაბადებულიყვნ და სამუდამოთ ამავე ქვესკნელში მუშაობა ჰხდომოდეთ წილათ.

გვირაბში მთა-მანდის მუშაობა თუმცა შელამაზებულათ არის წარმოდგენილი, მარა ის მაინც დიდ ცნობის მოყვარეობას უღვიძებს მნახველთ და ზოგჯერ საინტერესო ლაპარაკსაც იწვევს. მე მო-



ხის ჩუქურთმების ჩინელი ხელოსნები მსოფლიო გამოფენაზე.

ოქროს მანდის მალაროებს და საფრანგეთის ქვანახშირის და სხვა-და-სხვა ლითონთა მალაროებს. გვირაბის ცალ მხარეზე გავლებულ რკინის ლიანდაგზე მიმორბიან ნახშირითა თუ მანდით დატვირთული პატარა ვაგონები; ერთ კუთხეში ვაგონების ტვირთს მაშინა გვირაბიდან ზევით ეზიდება. გვირაბში წარმოდგენილია სხვა-და-სხვა ამ წარმოებაში სახმარი მაშინები. სხვათა შორის ერთი კლდის სახერხი მაშინა, რომელიც ჯერ არ არის ხმარებაში შემოსული და მხოლოთ პროექტს შეადგენს. ეს მაშინა ექვს გარეშეა მალაროებში მუშაობას გააადვილებს, მარა მაშინის შემოღება დამოკიდებულია არა იმაზე თუ იგი რამდენათ აადვილებს და აფაქიზებს შრომას, არამედ რამდენათ მომგებიანი და სარგებელია კაპიტალისტებისთვის. ეს მაშინა ეხედვით აგრეთვე ნახევრათ ტიტველ შავ-კანიანებს და თეთრ-კანიან მუშებს. აი, ერთგან დამკლავე-

მუშავეთა ერთ ჯგუფის წინ ვიდექი და ის იყო გამობრუნება დავაბირე, რომ იქვე შეჩერდა ერთი „მუსიო“ თავისი „დამით“. Regardez, Michell!.. (ოჰ, შეხედე, მიშელ!..) უცბათ წამოიძახა ქალმა, შეწუხებით, თითქოს მაზოლზე ფეხი დაადგესო და ხელი გაიშვირა მომუშავეებისაკენ. მის მაჯაზე ძვირფას თვლებიან ოქროს სამაჯურმა თვალთ-მაქცურათ გაიბჟყვრიალა ელექტრონის ლამპრის შუქზე— ne sont-ils pas maheureux ces ouvriers? (განა უბედურები არ არიან ეს მუშები?) შეეკითხა ნერვებიანი ქალი.— Oh,.. ils sont habitués à tont cela. (ეჰ... ეგენი ყველა ამას შეჩვეული არიან) დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით მიუგო კავალერმა, რომელიც ცალი ხელით ტროსტზე დაბჯინდა და მეორეთი მოუსვენრათ საათის ფქვით დაქვავსა და ბრელოკებს ათამაშებდა.— mais, pour-quoi de temps, en temps ils se mirent en grè-

ve? (მაშ, გაფიცვას რისთვის-სლა ახდენენ ხანდის-ხან?) კვლავ შეეკითხა გაგრძობიერებული ქალი. —...enfin,.. (ახლა...) ჩაიზმუკუნა კავალერმა, და მკლავი მკლავში გაუყარა ქალს და მოაშორა უსიამოვნო სურათს. ამათ არ გაველოთ სამიოდე ნაბიჯი, რომ იქვე შეჩერდა ორი მნახველი მუშა. —regarde... ces pauvres diables! (შეხედე ამ ოხერ-საცოდევებს!) მიმართა ერთმა მეორეს. — Oui,.. mais c'est la même chose partout, dans tous les pays (მარა, ხომ ესავეა ყველგან). ცოტა სიჩუმის შემდეგ პირველი მუშა ნახევრათ მოტრიალდა ამხანაგისკენ, წელში გაიმართა, თავი მალლა აიწია ამაყურათ და შეეკითხა: — dis-moi, quand l'ouvrier demande sa place au soleil, est-ce que ce n'est pas la justice elle-même qu'il demande (მითხარი, როცა მუშა თხოულობს სინათლეზე გამოსვლას—ადამიანურ ცხოვრებას—განა თვით სამართლიანობა არ არის რასაც ის თხოულობს?)-- Oh, si mon ami,.. parfaitement, mais tu sais bien q' est-ce que la justice aujourd'hui (რასაკვირველია, მეგობარო, მარა შენ კარგათ იცით რას ნიშნავს დღეს სამართლიანობა) სამართლიანობა ძალაა, და რომ მუშამ მოიპოვოს სინათლე, საჭიროა სალას დაუპირდაპირეს ძალა. ჩვენი ძალა შეერთებაშია. საჭიროა ყველა მუშების შეერთება კლასურ პარტიათ; საჭიროა შეერთება ნაციონალურით და ინტერნაციონალურათ.⁴) და-აბოლოვა მუშამ. ამხანაგმა პასუხათ ხელი მაგრათ ჩამოართვა და შემდეგ ორივე ხელი-ხელ ჩაბმული გაემართენ გვირაბიდან გასასვლელ კარებისკენ.

ლ. ლ.

ქალაქი მორი.

კვლავ ძინავს გარს! ძინავს იმ გაუთავებელ-გამოურკვეველი ძილით, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინეთ ერთმა ჩვენმა ზოკეტაგანმა უწოდა „ქართულ-მდეურნი“. ძინავს, მაგრამ ერთითიკი გასამტყუნარი არ არის: როგორ არ დაეძინოს იმ ტკბილ „ნანი“-ს გავრეხებაზე, რომელ-

⁴) ამ დღეებში აქ მოხდა მთა-მადნის მუშათა ინტერნაციონალური კონგრესი. საფრანგეთის მუშათა წარმომადგენელთა გარდა, კონგრესს დაესწრენ დელეგატები ინგლისიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან. კონგრესმა სხვათა შორის ერთხმათ მიიღო ის აზრი, რომ მთამადნის მომუშავეთა მდგომარეობის რადიკალური (არსებითი) გაუმჯობესობა შესაძლებელია მხოლოდ მთამადნების საკუთრების ფორმის ძირიანათ შეცვლით. ეს აზრი საგულისხმოა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთამადნის მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციაში შედიან ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ ეკუთვნიან მუშათა პარტიებს.

საც მას უმდევრიან კარშემოხვეულები მდინარენი ძინავს და სიზმარში მანინ ერთხელაც არ ჩვენებია, რომ მის თვალწინ ახლათ დაბადებულ-ადრძინებული დაბა-სოფელ-ქალაქნი თანამედროვე ცხოვრების ასპარეზზე უკვე გამოსულან, საერთო ფერხულში ჩაბმულან და დევიზათ გაუხდათ შემდეგი პროგრესის მომსწავლებელი სიტუაციები: წინ და არ უკან! გარისთვის არსად არის არც წიგნთ-საცავი, არც საკვირაო სკოლა, არც თეატრი, არც სხვა რაიმე გასართობი და ჭკუის შესაძენი. იქნება თავისთვის გარი ამაებს არ საჭიროებს, მარა რადგანაც საქართველო კათქმულია სტუმართ მოყვარეობით, იგი ვალდებულია ისე გაუმსახინდლდეს სტუმრებს, როგორც სხვა ჩვენი ქალაქები. ერთი რადაც „ქსენონი“ ამოიხემეს, დიდი ხნის სიტუაციით თუ წერით ხმა მალდა გაჰკვივიან: „ვარსებთ, ვარსებთ!“ ფულიც ბევრჯელ შეუგროვებიათ, მარა ჯერ კი არ დაბადებულა, თუმცა კარგა ხნის „აბრამიც“ დაარქვეს. ან რა საჭიროა ქსენონი! ჯერ ხომ ხოლერა, ან სხვა რომელიმე ვადამდები სენი არ განხილას! და თუნდაც განხდეს, ერთი ისეთი უებარი წამალი იციან აქაურებმა, რომ სწორეთ ჯანაოზ ექიმიც ვერ გამოიგონებდა: მიატოვებენ ღვთის ანბარათ ქალაქს და სადმე ახლო-მახლო სოფლებში გაიხიზნებიან. რამდენიც უნდა სენმა თავი იტყოს, აბა მათ რადას დააკლებს.

ღვთის წინაშე, უნდა გამოვტყდეთ, რომ ერთი რამით კი არის გარი სანაქებო: აქაური დუქნები სასესესხვა და სხვა სანაგავით და გორელებს რომ ეწვიოთ, მართალია, სულეერ საზრდოს მაკდენს ვერაფერს მოკაწვდიან, მარა საშავიეროთ რას მოკთხვოთ კუჭი, რომ მათ ვერ გიშოვნონ! აქ გამეფებულია უკვდავ შოთას უკუდმა გატებული თქმულება: „სმა-ჭამა დიდათ შესარგია!.. ხოლო მივიწეებულა თანამედროვე მკაცრის დინს სახსოვარი სიტუაციები: „სმა-ჭამით სვაგებს ვინა სჯობს, თუ კი პირველი საქმეა!“ სპიკიტნობები ხომ აუარებელია. როდესაც რომელიმე აქაური შეძლებული დაიწეებს სახლების შენებას და გაივლით მის წინ, უნებურათ მოკაგონდებათ ჯვარტმული „ქსენონი“ და იფიქრებთ: იქნება ეს რაიმე საზოგადო დაწესებულებისთვის შენდებოდეს? მაგრამ არა, რამდენისამე ხნის შემდეგ ნახვით შენობას დამთავრებულს და მის კედელზე მიკრულ ფიცარს-ზე წარწერთ: Распивочно и навьиносъ-ს, რომელიც სწრაფათ ივსება პახუსის მოტრფილეებით. მამ რაქნან? სად წავიდენ, რა გააკეთონ? „დღიურ სინხადით გულ-დინაგრულებმა“ ვის გაუზიარონ გულის ტვივილი? სახალხო წარმოდგენაში, ან სხვაგან სადმე წავიდენ? სად არის მერე! ისევ მიუჭდებიან ნუნუს, რომელიც ერთხანით ითავისებს ყველას: მდიდას და ღარიბს, ნაბატონარს და ნაყმებს და სხვსე ჭიქაში ახრჩობენ თავის დარდას.

ამდენა „სასწავლი“ ასევე აღბრუნდა ირევა აქ, თითქმის სიარულში სიტყვებზე ეტყობათ, მოძრაობა სწრაფი აქვთ, გეგმებით სადაც მიიჩქარაან, რაიმე საქმე სურთ გააკეთონ; აქურდ „კუდა-ბაღში“ რომ ვეღარ ეტყვიან, „გოგონას“ მიაწოდებინ, აქ ისინი ჭიანჭველებით ირევიან, დაფუსფუსებენ, ეტყობათ რაღაც საჭირო-ბრძოლა საკანზე აქვთ გაცხარებული ბასი, ხოლო მათგან გაკეთებული საქმე კი არ ჩანს, არაფერი ქვეყნისთვის სასარგებლო მათი ხელიდან არ გამოდის. ამ გვარათ, თუმცა გარკვენი მოძრაობა გვაჩვენებს მათ „ასევე აღბრუნდა“, სამაგიეროთ მათი უმეტიდობა ნათლათ გვიმტკიცებს, რომ უდრფოთ მოხუცებულან, გულში იმედი გაქვრბობათ, „არის მქანე, არის მცოდნენი“ შექნილან. ალბათ ისე გაცხარებით მარტო „უუუუნა“ და „მიხედვილ თვალებზე“ თუ აქვთ კამათი, მარა აწინდელი ცხოვრება ნათლათ გვაჩვენებს, რომ ეს აღარ კმარა, უკეთუ გვსურს კუს ნაბიჯით მაინც მივევკოთ სხვებს და ასე უკან აღარ ვიუვკოთ ჩამოჩენილები.

დრთა, ბატონებო, ჩვენც გონს მძვიდეთ! გავიგოთ რა არი საზოგადო, საერთო საქმე, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი, ძმურათ გავწიოთ და გავჭიმოთ ის თანამედრფე ცხოვრების ჭაბანი, რომელიც დღეს ასე მოდუნებულია ჩვენში.

ვანო გიუნაშვილი.

ახალი გზა

(„ქამუშაძის გაკირვება“ დ. კლდიაშვილისა. „მოამბე“ 1900 წ. №№ I, II, III, და IV).

I

ქართველი მწერალის ხვედრი სწორეთ რომ გასაოცარია და მასთან სამწუხაროც: გარდა იმისა, რომ ის ძვირათ არის იმდენათ ნიყოფიერი, როგორც ვეროპის მწერლები, მის ნიქს ზრდა სრულებით არ ეტყობა, — გამოვა თუ არა სამწერლო ასპარეზზე ის მალე იქცევეს საზოგადოების ყურადღებას, პირველ წლებშივე შექმნის თავისი კალმის საუკეთესო ნაწარმოებს, შემდეგ და შემდეგ უარესს თუ დაწერს, თორემ უკეთეს ძვირათ. ნიქის იმ თანდათანობით განვითარებას, რომელიც ვეროპის მწერლობაში ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენში ძვირათ შეამჩნევთ. იშვიათ მწერალს შეხვდება ჩვენში იმ იმედების გამართლება, რომლებსაც მისი მოღვაწეობის დასაწყისი გამოიწვევს ხოლმე საზოგადოებაში, და ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი დავ. კლდიაშვილი ამ იშვიათთა რაღაცხვს ეკუთვნის. გამოვიდა თუ არა სიმწერ-

ლო ასპარეზზე, მან მაშინვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, და მას აქვთ მისი ყოველი ნაწარმოები უუქს ჰფენს ჩვენ ცხოვრებას, მკითხველს ყოველთვის რასმე ახალს აწვდის ამ ცხოვრებიდან. ჩვენ ცხოვრებას ის სრულიად ობიექტიურათ უყურებს, ხატავს მას მიუდგომლათ ისე, როგორიც თვით ცხოვრებაა; ის შავი და მწარე ფიქრები, რომლებსაც მასში ამ ცხოვრების ზოგიერთი მხარე იწვევს, სრულებით არ ამახინჯებიებენ მის სინამდვილეს, არამედ სარჩულათ ედებიან იმ ნაზ და სვედიან იუმორს, რომელიც ასე აშვენებს მის ყოველ ნაწარმოებს; შეუმცდარათ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ დღეს ჩვენ მწერლობაში არც ერთი ბელეტრისტი არ აძლევს საზოგადოებას ისეთ უტყუარსა და დამახასიათებელ სურათს ჩვენი ცხოვრებისას, როგორსაც ბ. კლდიაშვილი.

ცხოვრების ნამდვილ სახეს, იმის დამახასიათებელ სურათებს, ნაზ და სვედიან იუმორს ავტორის უკანასკნელ მოთხრობაში, „ქამუშაძის გაკირვება“-შიც. ისევე შეხვდებით, როგორც იმის სხვა მოთხრობებშია. ხოლო ეს უკანასკნელი მოთხრობა არ წარმოადგენს ავტორის ძველი თემების გამეორებას, როგორც „კვალის“ ბიბლიოგრაფი უიშობდა, არამედ ის აღნიშნავს ისეთ ახალ მოვლენას ჩვენ ცხოვრებაში, რომელიც ჯერ ჩვენ ბელეტრისტიკას ვერ შეუმჩნევია. ამ მოთხრობის ერთათ ერთი ნაკლულევენება ის არის, რომ მომქმედი პირები ავტორს ერთობ მკრთალათ აქვს დახასიათებული; მკითხველი ნათლათა და გარკვევით ხედავს მხოლოთ ეკვირინეს სურათს, დანარჩენები კი ბურუსში არიან გახვეული, თითქმის მოთხრობაში შემთხვევით შემოპარულან და ავტორსაც ამიტომ ყურადღება არ მიუქცევიაო. ავტორის ასეთი ნაკლი ზოგიერთ წინანდელ მოთხრობასაც ემჩნევა, სათავე კი ყველგან ერთი და იგივეა: ბ-ნი კლდიაშვილი გატაცებულია მოთხრობის დედააზრით, ის შვენივრათ ასახულებს და ხატავს ამ დედააზრს, სხვა ყოველივე, რაც დედააზრს პირდაპირ არ შეეხება, უყურადღებოთ რჩება. მაგრამ შთაბეჭდილების სისრულისა და სიცხოველისათვის მოთხრობაში ყოველგვარ წვრილმანსა აქვს მნიშვნელობა და, რამდენათაც უფრო სრულათ არის და მკაფიოთ ყოველი ფაქტი, ყოველი მომქმედი პირი, რა გინდ უმნიშვნელონიც იყვენ ისინი, მოთხრობის სახელოვანი ღირსება და მნიშვნელობაც მით მეტია. უკანასკნელ მოთხრობაში ავტორის მიზანი იყო არა მომქმედი პირების დახასიათება და ახალი ტიპების დახატვა, არამედ ცხოვრების სინამდვილისა და მისი ტენდენციის გადმოშლა. მთელი მოთხრობა მკითხველზე მეტათ

მძიმე და მწვავე შთაბეჭდილებას ახდენს. ძალიან გულ-ცივი და გრძნობა ჩლონგი უნდა იყოს ადამიანი, რომ „ქამუშაძის გაქირვებამ“ გული არ დაულონოს და მის სულიერ განწყობილებას სევდა და მწუხარება არ მოჰტენოს. უნებური ოხვრა ამოგზდებათ, როდესაც მოთხრობას ბოლომდე ჩაიკითხავთ. ამ მოთხრობაში ერთობ ბევრი სურათებია ერთათ თავმოყრილი, რომლებსაც პირველი შეხედვით საერთო ერთმანეთში თითქმის არაფერი არა აქვსთ. ავტორის ასეთ თვისებას მის სხვა მოთხრობებშიც შეხედებით; მაგრამ ამდენი სხვა და სხვა სურათები ერთათ, როგორც უკანასკნელ მოთხრობაშია, ავტორს არც ერთ წინანდელ მოთხრობაში არ მოუცია. ზოგიერთი მკითხველი კიდევ იტყვოდა: ამდენი სურათები რა საჭირო იყო, ავტორი ზომიერებას მოკლებული ყოფილაო და სხ., მაგრამ ასეთი საყვედური საფუძვლიანობას მოკლებულია. აიღეთ მაგ. ან. ერისთავის „მოლიპულ გზაზედ“. ამ დიდ და საყურადღებო რომანში რომლის რეალურ ტანს რომანტიული კული აუშნოებს, შეხედვით ერთ-ორ ეპიზოდს, რომლებსაც რომანის დედააზრთან არავითარი კავშირი არა აქვსთ, და ავტორს თამამალ შეეძლო, გამოეტოვებია, ან ცალკე მოთხრობათ შეენახა. „ქამუშაძის გაქირვება“-ის სურათების შესახებ კი ვსევე არ ითქმის. ყველა სურათს საერთო სარჩული აქვს, მათ ერთმანეთში აკავშირებს ეს სარჩული; ყოველი სურათი ნათელს ჰფენს მოთხრობის დედააზრს, ამოშალეთ რომელიმე მათგანი და დედააზრიც უფრო მკრთალი გამოვა. ავტორის ნიჭი სინტეტიურია, მისი მოთხრობის დედააზრი ამ სურათებზე არის დამყარებული, ამ სურათების დასკვნა არის. ავტორი თანდათანობით გვიშლის თვალ წინ სოფლის ცხოვრებას და გვიჩვენებს იმ გონებრივსა და ქონებრივ გადატაკებას, რომელშიაც ჩვენი აზნაურობა ჩავარდნილა. ამ ცხოვრების გადმოსაშლელათ ავტორი ერთობ მოხერხებულ საშუალებას ხმარობს: სოფლის აზნაურს, ქამუშაძეს, ის რთავს ქალაქელ ქალს, რომელიც სოფლის ცხოვრებას სრულებით არ იცნობს, და, როდესაც გაეცნობს, გულშეწუხებული გაუბრბის სოფელს და ქალაქში იტაცებს ქმარშვილსაც, რადგანაც ხედავს, რომ სოფელი ღღევანდელ აზნაურობას დაღუპვის მეტს არას უმზადებს მომავალში. სოფლის ყოველი აზნაურის სულიერ არსებაში მთელი დრამა წარმოებს და ავტორმა კარგათ დაგვანახვა ეს დრამა, ნათლათ გადმოგვიშალა ის მწარე ფიქრები, ის სულიერი ტანჯვა, რომელიც უსაშუალო მდგომარეობას აღუძრავს ჩვენი აზნაურობის არსებაში. ზოგი მათგანი გრძნობს რომ ცხოვრება შეიცვალა,

შეცვლილმა ცხოვრებამ მხოლოდ გაქირვებულ მოთხრობაში ტანა, მაგრამ ის იმედს არ ჰკარავს, რომ მომავალი მაინც მისია, და მიწის ხენის გარდა სხვა საშუალების გამონახვის ფიქრი სრულებით არ მოსდის თავში. ასეთია ეკვირინე, ასეთია ოტია დაქორწინების პირველ ხანებში, ასეთია მანანა და მისი სიძე, მარუშიძე. ეკვირინე ძველებური ქალია, სოფელთან და მიწასთან თან შეზრდილი და შესისხლხორცებული. ახალმა ცხოვრებამ ის გაქირვებასა და სიდატაკეში ჩაადლო, მაგრამ გულს მაინც არ იტებს, ძველებურათ მხიარულია, მომავალზე ამყარებს თავის იმედს, ყოველ წამს ამით ინუგეშებს თავს: „ღმერთი მოგვცემს, ზოგს ჩვენოღენიც არა აქვსთრაო, ამყოფს თავისი აზნაურობით და თავისი ოჯახის ხსნას მხოლოდ მიწაში ეძებს. ოტიას სურათი ავტორს ძალიან მკრთალათა აქვს დახატული. ის არის პატიოსანი გულისა და ზნეობის ადამიანი, მაგრამ გაქირვებას მეტის მეტათ დაუბეჩავებია. ახლათ ჯვარდაწერილ ოტიას რცხვენია თავის ცოლის, ის ხედავს, რომ მისი ცოლი მოტყუებულია, ეს ოტიას ტანჯავს, ცოლის წინაშე ის დამნაშავესავით დარცხენილია, ამიტომ შრომას აორკეცებს, თავს აკლავს მიწას და ამით ცდილობს თავის ზნეობრივი გრძნობის დამყარებას, ცოლის გულის მოგებას და ოჯახის ბედის გამორთილებას. საყურადღებოა ოტიასი და მისი ცოლის ლაპარაკი. როდესაც ეკვირინე ღმერთზე ამყარებს იმედს და ოტია მიწაში ეძებს ხსნას, სონია დარწმუნებულია, რომ სოფელში ცხოვრება და ძველი გზით სიარული მათთვის დამღუპველია, და მოთმინება დაკარგული ქმარს ეკითხება:

- „— ჰო, ჰო, რას აპირობ, რას?.. რას უპირებს ამას აგერ რომ შემოგვემატება?..“
- რას უნდა უპირებდე, შე ქალო! — მიუგო მან წყნარად.
- შენ თავად ვერ ატყობ რომ ის, რაზედაც ახლად ვლგვართ, ჩვენთვის ვერა სამყოფი? ვერ ატყობ?
- ვატყობ... რავა არ ვატყობ! — წაილაპარაკა დამნაშავესავით ოტიამ.
- ჰო-და, ვინც ჩვენ მოგვყვება, იმათ რა ცეცხლში უპირებ ჩადებებს შე შენ გკითხავ და, ოტია, პასუხი უნდა მომცე ამანე!..“
- არ ვმუშაობ თუ? რომ ვხედავ ყორიფელს, იმიტომ თავს არ ვზოგავ... თავს აღარ ვიბრალე, ასე არაა, შენ თავად არ ჰედავ ამას, სონია?!
- კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებ, თავს შევაკლავ! განიმეორა ოტიამ იმავე კილოთი. — უფრო ვეცდები კიდევ!
- რას ეცდები ოტია! რას შეაკლავ თავს?! მაგით რომ არაფერი გამოდის!

— აბა სხვა რა ექნა, შენ გენაცვალე! შინ მიტხარი, მირჩიე... მიმხვედრე და ისე გავიჯები, ისე მოვიქცევი! მირჩიე!“

ღიან, ოტიამ არ იცის ცხოვრების სხვა გზა; ის დაუზოგავათ ჩიქნის მიწას, თავს აკლავს მას, მაგრამ თანდათან რწმუნდება, რომ რამდენიც უნდა იმუშაოს, მარტო მიწა მის ოჯახს ველარ იხსნის. საჭიროა სხვა გზის გამონახვა, მაგრამ ოტიამ არ იცის ეს გზა და ამაში მდგომარეობს მისი სულიერი ტანჯვაც. სხვების მდგომარეობა უარესიც არის, ვიდრე ოტიასი. ზოგი კიდევ ებრძვის ცხოვრებას, მაგრამ მისი ბედიც გადაწყვეტილია: დაღუპვის მეტი არაფერი მოელოს, ასეთია სარდიონ ქველიძე. სხვებს უბრძვიათ, სანამ ძალღონე ჰქონიათ, მაგრამ ცხოვრებას მაინც საბოლოოთ დაუმარცხებია ისინი, ასეთია უმეტესობა და მათში ღვეან ქამუშაძე. ერთ ღროს ეს კაცი ჩვეულებრივი აზნაური იყო, საშუალო შეძლების პატრონი, მაგრამ ახალი ცხოვრებისაგან წარმოშობილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ძველ გზაზე სიარულით ველარ შეძლო, გაღარიბდა, დაბეჩავდა, ღღეს მის შეძლებას ერთათ ერთი ქოხი შეადგენს, რომელიც სადგომიც არის, სასიმიინდეც, ბედელიც, ბოსელიც, და ძველი დაკერებული ჩოხა. ღვეანი და მისი მეუღლე ნახევარჯერ მშვირები არიან. ნელ სიმიინდს ახმობენ და ასე იკვებებიან, ისიც თუ ვინმემ სამადლოთ დაუფქვა. ღვეანი ჯავრობს, დარდობს, რატომ მოვესწარი ამ ღღესაო; ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკება. ცხოვრებამ დაამარცხა ღვეანი, ჯავრისა და ფიქრის მეტი მას აღარა დარჩენიარა და ამ ჯავრსა და ფიქრს ისე გადუტანია, რომ ის თითქმის სრულ გონებაზედაც აღარ არის... მიუმატეთ ყოველივე ამას გონებრივი სიბნელე და ცრუ მორწმუნეობა, რომელსაც სოფლის აზნაურობა მოუცავს და რომლის ერთ მაგალითს წარმოადგენს ომანისა და ეფროსინეს ჩხუბი, და ნათლათ წარმოვიდგებათ ის საშინელი სურათი, რომელსაც ჩვენი სოფლის აზნაურობის ცხოვრება წარმოადგენს.

სონია უკვირდება ასეთ ცხოვრებას და მალე რწმუნდება, რომ სოფლის შეჩერება და თავისი იმედებისა და კეთილ ღღეობის მარტო თოხსა და სახნისზე დამყარება მხოლოდ ოჯახის დაღუპვაა. ის ქალაქისაკენ გაიყურება და მტკიცეთა რწამს, რომ მხოლოდ იქ შეიძლება ცხოვრებისათვის ღროის შესაფერი საღრის გამონახვა, დაღუპვისაგან თავის დაღწევა. ოტიაც არა ნაკლებ უკვირდება ცხოვრებას. ჯვარის წერის პირველ ხანებში ის თუ თავის თავსა და ცოლს აიხედებდა: კიდევ მეტს ვიმუშავებ, თავს არ დავიზოგავ და ოჯახს

გამოვებრუნებო, ის მალე რწმუნდება, რომ რომ შეაკლას მიწას, მის ოჯახს მიწა ველარ იხსნის.

„მისთვის ეხლა თვალ-საჩინო იყო, რომ ძველ გზაზე დარჩენა მეტს ხანს არ შეიძლებოდა აწი, რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებდა მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ საჭირო იყო განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა და მას კი არ ეხერხებოდა, არ ემარჯვებოდა, და აღარ იცოდა, რა ექმნა. სინათლეზე უფრო ნათელი შეიქნა მისთვის, რომ მარტო მიწა, ის მიწა, რომელზედაც იგი იდგა, ვერას გზით მას ვერ დააკმაყოფილებდა, რომ მისი შეჩერება მხოლოდ სამუდამოდ დაღუპავდა მასაც, მის ცოლშვილსაც და მამავალსაც!..“

ამ გვართ ოტიასათვის ცხადია, რომ საჭირო არის ახალი გზა, ძველი გზა ღღვეანდელ ცხოვრებას უარუყვია. მაგრამ სად მონახოს ეს ახალი გზა ოტიამ არ იცის, და კიდევ რომ იცოდეს, მასე შედგომა არ ეხერხება.

გასაჭირი მდგომარეობიდან ოტია ისევ ცოლს გამოჰყავს, ის კატეგორიულათ უცხადებს მას:

„— ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი, ოტია! ახლენი ხანია გიცდი, გითხრა ეგ... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია... უთუოდ, უსათუოდ, ოტია!“

წინეთ რომ გავგონა ვისგანმე ოტიას ასეთი სიტყვები, საშინლათ გაოცდებოდა, რადგანაც სოფლის, საკუთარი სახლ-კარისა და მიწა-წყლის მიტოვება მისთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ღღეს ის თვითონ არის ამ აზრის, საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ სხვა გზაა საჭირო ცხოვრებისათვის. როდესაც ცოლი უცხადებს: ქალაქში უნდა გადავსახლდეთო, ის ყოყმანობს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სოფლის დატოვების საჭიროებაში დარწმუნებული არ იყოს, არამედ ეშინია: გამოუცდელი აღამიანი ვარ და ვაი თუ იქაც დამამარცხოს ცხოვრებამო. რაკი ერთხელვე შეეპარა ოტიას ის აზრი, რომ სოფელში დარჩენა მისთვის შეუძლებელი იყო, ეს აზრი ოტიას უნებურათაც განვითარდებოდა, რადგანაც მას ავითარებდა ის ცხოვრება, რომელიც გარშემო ერტყა ოტიას, ის საშინელი სიღარიბე და მისგან მომზადებული უნუგეშო მომავალი, რაც მისი მზგავსი აზნაურობის ხვედრი იყო. რაკი განვითარდებოდა ოტიას არსებაში ასეთი აზრი, უეჭველია, ოტიას მოსვენებას დაუკარგავდა და ის ან ისევ თავის მიწას დააკვდებოდა ჯავრსა და შრომაში, ან სხვა გზას გამონახავდა. ოტია ენერგიული კაცი არ არის, არ არის დაუდგრომელი, მოძრავი ბუნების და შეიძლება ასეც დაემართებოდა, რომ ის არ გაეტაცებია

ქართული
ენათმეცნიერება

ჭ ი ა თ უ რ ა

(შთაბეჭდილებანი და ფიქრები დღიურიდან *).

11... 1900 წ.

ძველი გზიდან მის ცოლს, სონიას, და მისი ბიძის, ლევანის, სიკვდილს. „ოტია მწარე ცრემლით დასტიროდა ბიძას, ამ მიცვალებულში იგი რაღაც თავის მომავალს ხედავდა“. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ლევანი ყმაწვილობისას ოტიას თუ ჯობდა მოქმედებითა და გარჯილობით, თორემ ნაკლები არ იყო; ადგილ-მამულიც იმის ოდენი ჰქონდა; მაგრამ სიბერეში სიღარიბის გამო აღძრულმა ჯავრმა და მწუხარებამ გონება გამოუღალა, შიმშილმა კი სული ამოახდინა. ოტიას ცხოვრებაში არაფერი არ იყო ისეთი, რომ იმედისა და ნუგეშის მცირე-ოდენი შუქი მოეფინა მისი მომავლისათვის და გაემხნეებია: გულს ნუ გაიტეხ, ოტია, ლევანის ხვედრი შენ არ გეწევია. პირ-იქით ოტიას ყოველიფერი ეუბნებოდა, რომ უკიდურეს სიღარიბეში და შიმშილში სულ ამომხდარი ლევანი მისი მომავალი იყო. — „არა... მეტი საშველი არა! ეუბნება თავის თავს ლევანისაგან დაბრუნებული ოტია: — მეც უნდა ავიბარგო! მეც უნდა შევეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს... სადაც იმოდენი საშოფარია და საშუალება!.. მეტი გზა აღარ არის!..“ მკითხველისათვის რასაკვირველია ცხადია, რომ ოტიას ასეთი გარდაწყვეტილება მარტო ლევანის სიკვდილით არ ყოფილა გამოწვეული. ასეთ გარდაწყვეტილებას დიდი ხნიდან ამზადებდა ოტიას გონებაში თვით ცხოვრება, ცოლის სიტყვები და ცხოვრების მიერ აღძრული ფიქრები, მაგრამ ლევანის სიკვდილი ის უკანასკნელი ნაპერწკალი იყო, რომელმაც ოტიას ყოყმანს ბოლო მოუღო და მისი გარდაწყვეტილება განამტკიცა. ბიძის სიკვდილმა ოტიას ცხადათ დაანახვა, რომ მან ან ბიძასაებრ მშვიერმა, მწყურვალმა, უპატრონომ ასეთ საცოდაობაში უნდა დალიოს თავისი გაჯახირებული სული“, ან სხვა საშუალება უნდა გამონახოს და ამ საშინელი მომავალის გადასაცდენათ, — „მეტი გზა აღარ არის!..“ რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ ვხედავთ ოტიას თავის ოჯახობით ქალაქ №-ის მცხოვრებათ გადაქცეულს, მის სამოსახლოზე და ადგილ-მამულში კი სხვა მოსახლეს, ახლათ გამოყოფილ გლეხს. ოტიასავით მისივე სოფლიდან სხვებსაც მიუტოვებით სოფელი და გარეთ ირჩენენ თავს. სოფლის ცხოვრებამ გარიყა ისინი, როგორც მეტი წევრნი, სხვას გაუგზავნა: მე ვეღარ ვარჩენ და შენ არჩინეო.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ჭიათურაში მივდივარ... დავტოვე სამსახური.

ჭიათურაში წამოსვლისას ძლიერ დაშინებული ვიყავა, მუუხებოდაც, იქ მუდამ აუტანელი მტკერი იცის, უფელდეც ჩხუბი და დაძმანის ხატვას, უფელდეგარი ავთ-მუთფობას კავრცელებული, — დაძმანს არ შეუძლია იქ ცხოვრება.

გლახა გუნებაზე ჩამოვედი ჭიათურაში. მაგრამ შირველ ჩამოსვლისთანავე ჭიათურას არ მოუხდინია ცუდი შთაბეჭდილება: არც ისე მტერია, არც ისე მოკლებული მწვანეს, როგორც გაცანილი მქონდა. დიდი მოძრაობა და სინტაქსა ქთან შედარებით.

ბინაზე მივედი. ჩემი ოთახი ზატარას, გვარისანი სუფთა; აქ მტკერი კიდევ უფრო ნაკლებათ უნდა იყოს. ოთახის ფანჯრიდან მოხანს მწვანით შემოსილი მთა. ვნახეთ, შეიძლება თუ არა აქ მუშაობა.

ცოტა მოსვენებას შემდეგ მარგანცის საწყობებზე ჩამოვედი. კაი დიდ მანძილზე ერთი მეორეს ახლო ამართულია მოხიდეული შავი ქვის გორები. ვეკითხები №-ს: რა წილი ეკუთვნის ამ მარგანცში ქართველებს? — ქართველები აქაური მწარმოებლების შექმნეს ნაწილსაც არ შეადგენენ...

ვათვადიერებ მუშებს, ჩაღვადრებს, სწონს, ახალ ჩამოხიდეულ ქვას. ჩემ თანამოსაურე №-ს ეტეობა ცუდი კაცი არ არის, მაგრამ სსსტიკი მრეწველი კია: ცდილობს ერთი წუთიც არ დაჰკარგოს ხაიდი შრომისა.

შემდეგ მე მადლა მთაზე ავედი და ცადმოვხედე მთელ ადგილს. ჭიათურა არ არის მოკლებული თავისებურ ჰოეტურ სილამაზეს: აქეთ-იქით მთები, შუაში მდინარე. ერთი მხარე სულ მწვანით არის შემოსილი და სსსგარკო ადგილათაც ივარგებდა, მეორე მხარეზე შავი მთებია; აქედან ჩამოაქვთ შავი ქვა. რამდენიმე ალაგას ბაწარსავით გაბმულია ურმები, ცხენები, ვირები. ისმის გამოურკვეველი ხმა, უფრილი. ჭიანჭველები რომ გაკებთან სადმე კედელზე — მიდიან და მოდიან აქეთ-იქით, სწორეთ ისე. დაბლა რომ ჩამოდიან უფრო არჩევ დაძმანესაც, ხმაურობასაც. ხიდზე გამოდიან, ერთმანეთს ეჯახებიან, უნდათ ერთმა მეორეს გასწოროს, ჩხუბობენ, ივინებიან. როგორც შირუტეები, ისე ადაძმანეთ მთლათ გამოურული არიან; კეგონებს, ზირდა-ზირ ჯოჯოხეთიდან არიან ამოსუენიო. ზოგს თითქმის

*) ეს წერილები თავდაპირველათ არ იყო სხვების წასაკითხავი დანიშნული, ამის გამო მკითხველმა უნდა აპატიოს ავტორს მისი თავისებურება.



ფისი გადაუსხამს თავზე. აქა-იქ უფრო სუფთა სხე აქვთ, მაგრამ ეს ახლათ ჩამოსულები უნდა იყვნენ. ეფექ-ლი რჯულის ხალხს შეუერთა აქ თავი; ტანისამოსით თუ იცნობ, ვინ ვინ არის. ყველაფერს აზიურობა ეტეობა, უკუელტურობა, მოუწობლობა. ყველას ერთი სურვილია აქვს: რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნა. ადამიანები ადამიანებს წოვენ სისხლს, ადამიანები ზირუ-ტყვებს. აკერ ვირებს ძვალი და ტყავი შერჩეხიათ მხო-ლოთ, ცოტა ხანს კუდეკ იმუშავებენ და მერე დაი-ხრებებიან.

გამწარბეული მისწრაფიან და ეჩქარებიან ჩაღვადრე-ბი და მეურმეები. ერთი მეორეს წინ უსწრებენ, რომ ზირველათ მივიდეს სისწორზე, ჩხუბობენ. უარესი ამბა-ვია სხვახალის დაცლის დროს სწობს. შავი ქვა მადლა დაურლი, ზევით უნდა აიყვანონ ცხენები და ვირები და იქ დაცლან. აკერ ერთს ცხენი კადმოუვარდა ზევიდან, თითონაც დაგორდა, რამდენჯერმე გადაუარა ზედ და-გორებულმა ცხენმა და ძლივს გადაჩა დასახიბრებს. მეორე ალაგას ერთმა თათარმა შეუშალა მეორეს ჩქარა ზევით ასვლა, წალახარაკდენ, ეცა მეორე ზირველს და 3—4-ჯერ შემოკრა მათარხი სხეში. მერე გავიგე, რომ წახნებებულები ძმები ყოფილან...

ჩაღვადრები და მეურმეები ერთი მეორეს ეჩხუბე-ბიან, მათ ეჩხუბება აწონი, ყველას კი სწიქობის ზე-ტრნა.

ვეურებო ყველა ამას და ვფიქრობ. ჯერ ცოტა შთაბეჭდილებები მაქვს და ისინიც არ არიან კარგათ გა-მორკვეულნი, მაგრამ ახლაც ამ შავ მთებში, ამ მოძრაო-ბაში, ხმარობაში, ჩხუბში ცხადთ ვხედავ კაცობრიობის მთელ ისტორიას მისი დასაბამიდან; ადამიანის ბრძოლას ბუნებასთან და ადამიანების ბრძოლას ერთმანეთში არსე-ობისათვის. აქ ჩაუძვრებიან ადამიანები ბუნებას გულში და ამოგლეჯენ მას ძალებს, რომელთაც მერე სხვა-და-სხვა სხეს მისცემენ თავის საკეთილდღეოთ და ბუნების კიდევ უფრო დასამონებლათ. აქ ძმა ძმას არ ინდობს, რომ მასზე მეტი იმოგნოს... ყველაფერი ეს აქ მკვანეთაა, ზირვანდულათ, თითქმის ველურათ, მაგრამ მით უფრო გარკვევით ეცემა ადამიანს თავაში.

სადამოს ჩვენ გვეწვია ქუთაისელი ვექილი, გველა-ხარაკა სადილზე, რომელიც გაუმართავს კეთილშობილ ახალგაზდა ინტელიგენციას თავად-აზნაურთა კრებულის გამო. ბევრი მადალ-მადალი სიტყვები დაუხარჯავთ ამ კრებულის დიადი მნიშვნელობის შესახებ, შეუქიათ ერთი მეორეს საზოგადო მოღვაწეობა...

ექს, შეუნდოს უფალმა მათ შეცდებანი მათნი!
12.....

დავითავადიერე ჭიათურის ბაზარი. საზოგადოთ ჩვენი დაბები განხორციელებულ უსუფთაობას წარმოადგენენ; აქ კი მეტის-მეტია. თრ რიგ აზიურ და ევროპიულ

ტიბების დუქნებს უკან ჩაგარდნილ ადგილს, წყლის ზირათ, აკებულა იფიცრის კაზარები; შიგ 2/3 თუ მეტი ადგი-ლი ცხენებს და ვირებს უჭირავს, სხვა ადგილზე ადამი-ანები ცხოვრობენ. ამ კაზარებში უფრო თათრები ბინადრო-ბენ, ჩვენები კი უმთავრესათ დუქნების ქვეშ, რასაკვირ-ველია, ზირუტყვებთან ერთათ.

უმრავლესობა ზირდაზირ მიწაზე, უკეთ რამა ვთქვით ერთ არშინზე დაურლი ნაკავზე, წვება. სადაა საკებ-საბა-ნი! თივა, ტყავი, ქეჩა, დაფლეთილი მასარა, საბნის ხახვი. მითხრეს: ზამთარში თათრები ვირებს შუაში ჩაუწვებიან ხელმე, რომ უფრო თბილათ იყვნენ.

კასვილი, გამურული ხელებით ჭამენ ზურს, გა-სვრილ ჭურჭლიდან სვამენ წყალს, ასეთივე გამურული წვებიან ღოგინში. ყველანი ნამეტანი უსუფთათ არიან, თათრები და სხარსელები ყველასზე უფრო.

ადამიანები, ცხენები, ვირები, ხარები, ღორები ერთ-მანეთში არიან არეულნი. ირგვლივ ტალახი, აქა იქ დამდგარი დამზალი წყალი, ნაკავი.

დღეს მოდრუბლულია და იმდენათ არა დგას სუნი, მაგრამ რა იქნება მაშინ, როდესაც ზათხულის სიცხე დასტკრს?

ძნელათ თუ სადმე შეხვდება ადამიანი ასე უზატრო-ნოთ მიგდებულ დაბას. ზატრონობა, მოვლა, სუფთაობა, მოწყობილობა თუ საჭიროა ყველგან, აქ ნამეტურ, სადაც 20 ათასზე მეტი ადამიანს და რამდენიმე ათას ზირ-უტყვს მოუყრია თავი ერთათ.

13.....

ვლახარაკობით ჭიათურის მრეწველობაზე. მთელი მესამედი მრეწველობის ბერძნების ხელშია; ერთი უმთა-ვრესთაგანი და უკეთესათ მოწყობილი მრეწველი სომეხია, თ—ვი. ეს და... ეს სამი ზირბა ჭიათურის ბატონები. როგორც უნდათ ისე არიგებენ სწიქობებს და გვგონებს. ამას წინათ ბ. და ლ. ადგილი დაუქირავებიათ ჭიათურა-ში (ჭიათურის ახლოს სოფელია) მარგანცის დასაწეობათ; თ—ს, რკინის. გზის უფროსს უთქვამს: ეს ადგილი რკინის გზის არის და წაურთმეოვა; მერე რომ სხვა ადგილი უმოგნიათ, ახლა ამაზე უთქვამს: ის ადგილი კი არა, ეს ყოფილა რკინის გზის...

ბრახი იმდის, რომ წარმოვიდგენ, თუ რამდენი გონებითი ძალა და ენერჯია იხარჯება ტუფილას უბრძლოთ ქ—ში, ქ—ის ბუფვარში იმდენს დაუბობენ, დავობენ და ჭკონიათ საქმეს აკეთებენ. კაცმა უნდა აათვთქოს კვ ბუფვარი!

მერე რა დიდი ზრისა არიან თავის თავზე ჩვენი „ინტელიგენტები“ ძველებიც და ახალგაზდებიც. ასე ფიქრობენ, ისინი რომ არ იყვენ, ჩვენი ქვეყანა ერთ წუთსაც ვერ გაძლებდა. ნამდვილათ კი განა ერთ მათ-განსა აქვს შეგნებული ჩვენი ცხოვრების გზა-კვალი, მიზანი, მისწრაფებანი? მუშაობენ, აკეთებენ რასმე? ინ-ტელიგენტები ვართო. ინტელიგენტები! რა სხატო



სახელს ითვისებენ და რეწიან! ინტელიგენტები—ერის მართლაც საუკეთესო ძალები, მისი ინტერესების შემცნებელი და წინამძღოლი არიან, ესენი კი მუქთახორები, ერის მეტ ხორცი, სხვა არაფერი!

სულით და გულით უნდა ვუჩინოთ გიმნაზიელებს: მის მაგიერ, რომ „ინფანტები“ და ბუფარის მტკებნილი „ინტელიგენტები“ გამოვიდნენ, წავიდნენ სტრუნიკა, სავაჭრო-სამრეწველო უმადლეს სასწავლებლებში. ესათ წილათ ემჯობინება როგორც მათთვის, ისე ერისთვის.

14....

ნასადილეს ბაზარში გავიარე. დღეს კვირაა და მეტი სიწმინდეა, გარეგნულათ მაინც. ადამიანებს ზირი დაუბნიათ და უფრო სუფთათ ჩაუცვამთ. რამდენიმე დუქნიდან ისმის მთვრალეების სიმღერა და ყვირილი, მაგრამ ეს ისე ხშირი არ არის, როგორც ამბობენ.

აქ ყველანი მუშაობენ: შენც ძალა უნებურათ იმუშავებ, ზარმაციც რომ იყო მაინც. როგორ მაუხებდა ქ-ის ბუფარელებს აქ ცხროვებს! ეს გაცნობიდა მათ.

რამდენსამე წელიწადს ჭიათურა კულტურული, მოწყობილი ქალაქი შეიქნება. ამას აუცილებელი მოითხოვს მრეწველობის განვითარება.

დღეს კი ძლიერ ბევრი რამ აკლია მას. აკლია ასეთი უბრალო რამ: ქუთაისში ჩასვლას აქედან 3 საათის მაგივრათ ადამიანი 7 საათს უნდება და ისიც როგორ! თუ დღე წახვალ, რამდენსამე საათს ზედ მეტს იტვიშობა; თუ დამე წახვალ, არამც თუ ვერ დაიძინებ, დასჯდომ ადგილსაც ვერ იშობენი ხანდისხან, ისეა ვაგონები გატყენილი...

S—n.

(გაგრძელება იქნება).

საქვილ-მოქვილ საქვი

I.

ქალბატონო რედაქტორო! გიგზანით 16 მანეთს მეფე ირაკლის ფონდის სასარგებლოთ და უმორჩილესათ გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებსამებრ. შემომწირველთა სია: ალექსანდრა კალოიანისამ შეკრიბა მარელისის სადგურზე 12 მან. მამა მათე სუხიაშვილისაგან 1 მ., იოსებ ფანცულასაგან 1 მ., დიმიტრი მახარაშვილისაგან 1 მ., სხვა-და სხვა პირებისაგან 1 მან.

იოსებ ფანცულია.

ზემოხსენებული 16 მან. გადაეცა ირაკლი მეფის ფონდის საზოგადოების თავმჯდომარეს კნ. ნ. ნ. ორბელიანისას

II.

ქალბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში“ უფულითადესი მადლობა გამოუხადოთ ციხის სოფლის მცხოვრებ ირაკლი ჯაყელს, რომელმაც კეთილ ინება, და ციხის სამრევლი სკოლის მოსწავლეთ გამოუწერა ერთი წლით საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და ბლადონის მ. ს. ხუნდაძეს, რომელმაც ამავე სკოლია მოსწავლეებისათვის გადმოცა სამი მანეთი რვეულების საყიდლოთ.

ციხის სამრევლო სკოლის მასწავლებელი კ. ტრაპაიძე მზრუნველი ივანე ცინცაძე.

III.

ქ-ნო რედაქტორო! გიგზანით 11 მანეთს ჩვენგან მადლობა გთხოვთ სად. ქურდამირში და ევლახში და გთხოვთ თქვენი საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ უგზავნოთ ორ რომელსავე ღარიბ სკოლას.—სია შემომწირველთა, თითო მანეთი: მ. თოფურბემ, კ. ჩიქოვანმა, გ. ფიცხელაურმა, ვ. ალხაზი-შვილმა, ა. ანჯაფარბემ, ი. თვალაძემ, კ. ამაშუელმა, ს. პაიჭაძემ, მეძმარიაშვილმა, ნ. ყარანგოზოვმა. ათ-ათი შაური: ცხადიამ და კანკავამ.

ი. ფანიაშვილი და ს. პაიჭაძე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ეგზავნება ამ ფულით ყვირილას: დაბლა საქარის სამრევლო სკოლას და თელავში სოფ. ფშაველის სკოლას.

IV.

ქ-ნო რედაქტორო! უღრმეს მადლობას ვწირავთ ქვემოთ დასახელებულ პირთ, რომლებმაც შეაგროვეს ფული ჩვენდამი რწმუნებულ სამკითხველს სასარგებლოთ: ქ. ალექსანდრა სპირდონ ტუმბურიძის ასულმა 3 მან.; გიორგი ჩივაძემ—10 მან.; კოწია მოღებამ 92 კაპ. და აგრეთვე დეკანოზ დამბაშიძეს, რომელმაც შემოსწირა ამ წლის Сельско Хоз. журналს, სურათი თ. აკაკი წერეთლისა და წიგნი ლირებული ორ მანეთით. მიხა გაჩეჩილაძემ სურათი შვედრი ჩარჩოთი ლირებული 15 მან., ვ. ა.—შვილმა—თოვდელი დედოფლის სურათი („კვალის“ გამოცემა) ჩარჩოთი, ლირებული 5 მან., გიორგი ნემსაძემ—ერთი ცალი სიციხის საზოგადოებრივი რუსოვიჩმა—ჟურნალი „Неделя“ 1899 წ., ვანო გაჩეჩილაძემ—წიგნები 1 მანეთისა; კლაძემ—წიგნებო ლირებული 1 მ. 50 კ.; მორჩილმა რაყდენ ბარამაძემ—წიგნები 2 მან. ი. მალ—ძემ—წიგნები 3 მან.; გიორგი ჩივაძემ—წიგნები 10 მან.; მელიტონ კელენჯერიძემ—თეორია სიტყვიერებისა.

ყვირილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგ. წევრნი: ივანე არდიშვილი და ილია მაღლაკელიძე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საუფველათ აცხადებს, რომ თავის თანადასწრებით ივლისის 20 დღის 12 საათზე მოხდება ახალი ვაჭრობის საქალაქო მამულის იჯარით გასაცემათ, იმის მაგიერ, რომელიც წინეთ არ შედგა, მეჭვიდე უხსტკაში, ავლახარში. ზამა მიწისა 23 საყენია, სადაც საკუთრათ გაჯი თხრება. იჯარით ადების მსურველთ შეუძლიათ ზირბების შეტეობა ქალაქის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში, უფველ დღე დღის 8 საათიდან შუადღის 12 საათამდე. (2—3)

ქალაქის თვით-მმართველობა ამით აცხადებს, რომ საავარჯიშო სახლი ბორჯომში, რომელიც ეკუთვნოდა აბესალომოს და ახლა ტფილისის ქალაქის საკუთრებას იძლევა ქირით დაკლებულ ფასათ. სახლი ორ სართულიანია, ზემო სართულში 4 ოთახი და ქვემოთ 5. ზირბების შეტეობა შეიძლება ქალაქის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში, უფველ დღე დღის 8 საათიდან შუადღის 1-ლ საათამდის. (2—3).

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.